სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 22 (254). გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 27 ნოემბერი

მამული-შვილის სადიდებელი

საქართველო სათუთად ინახავს ერთგულ მამულიშვილთა სახელებს. შთამომავლობა სიმღერებად აქცევს სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა საქმეებს.

სამსაუკუნენახევარია ვუმღერით დიდი მოურავის უკვდავებას. გიორგი სააკაძე! სახელოვანი სარდალი, კაცი „უხვად შემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებათა“, ისტორიის ბედუკუღმართობის მიუხედავად დავიწყებას რომ არ მისცემია.


კასპი! — გიორგი სააკაძის სამშობლო მიწა. აქედან ცხენის ერთი გაჭენება თუ არის მის მშობელ ნოსტემდე, ერთაწმინდამდე, სადაც მამულისათვის მსხვერპლად შეწირული მისი პირმშოს ჭაბუკი პაატას თავი ასვენია.

22 ნოემბერს ზღვა ხალხმა მოიყარა თავი კასპის მოედანზე, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მემორიალის გახსნაზე. დავიწყებას არ მისცემიან ვაჟკაცები, რომლებიც სამშობლოს დასაცავად წავიდნენ აქედან ცხრაას ორმოცდაერთში... ისინი დიდი მოურავის ღირსეული შთამომავალნი იყვნენ.

იმათზე, ვინც ქვეყნისათვის თავი გასწირა, გმირის სახელი მოიხვეჭა, სიტყვას ამბობენ რაიონის თავკაცები, მშრომელები, მოსწავლეები, სტუმრები დედაქალაქიდან... იხსნება გმირთა დიდების მემორიალი.

საბურველი ეცლება ხუთმეტრიან კვარცხლბეკზე აღმართულ გიორგი სააკაძის დიდებულ ძეგლს. ყღერს ქართული „მრავალჟამიერ“...

კამარისათვის შემართულ საომარ ბედაურზე ამხედრებულა დიდი მოურავი — „მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი უშიში“. მოქანდაკე მერაბ გერძენიშვილსა და არქიტექტორ გივი ჯაფარიძეს ამ ბრწყინვალე ნამუშევარში მთელი სიცხადით ჩაუქსოვიათ, გაუცოცხლებიათ ქართველი ხალხის წრფელი წარმოდგენა სახელოვან მამულიშვილზე.



გიორგი სააკაძის ძეგლი კასპში

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ბრწყინვალე გამარჯვება

საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი თვალსაჩინო მიღწევა

1970 წლის 17 ნოემბერს „ლუნა-17“ საბჭოთა ავტომატური სადგური რბილად დაჯდა მზით განათებულ მთვარის ზედაპირზე, წვიმების ზღვის რაიონში. იმავე დღეს, 9 საათსა და 28 წუთზე მოსკოვის დროით სადგურის დასაჯდომი საფეხურიდან გამოვიდა და ექსპერიმენტების ვრცელი პროგრამის შესრულებას შეუდგა ავტომატური თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-1“.

„ლუნოხოდ-1“ აპარატსა და დასაჯდომ საფეხურზე მოთავსებულია ალმები და ვიმპელები, რომლებზეც გამოსახულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბი და ლენინის ბარელიეფი.


24 ნოემბერს საკდესმა გადასცა ცნობა, რომ „ლუნოხოდ-1“ აპარატმა მთლიანად შეასრულა მთვარის დღის პროგრამა. ხუთი დღე-ღამის განმავლობაში შესრულდა მთვარის გამოკვლევისათვის თვითმავალი აპარატის გამოცდის კომპლექსი. ამავე დროს ხორციელდებოდა კომპლექსური მეცნიერული კვლევა მთვარისა და კოსმოსური სივრცის ფიზიკის შესწავლის დარგში. მიღებულია მთვარის ზედაპირის სხვადასხვა უბნის კარგი ხარისხის ტელეფოტომეტრიული და სატელევიზიო გამოსახულებანი.

17-დან 22 ნოემბრამდე „ლუნოხოდ 1“-თან მოეწყო რადიო და სატელევიზიო კავშირის 10 სეანსი და მიღებულია დიდძალი ინფორმაცია.

24 ნოემბერს წვიმების ზღვაში დადგა მთვარის ღამე, რომელიც 1970 წლის 8 დეკემბრამდე გაგრძელდება. ამ პერიოდში აპარატი იქნება მზით განათებულ მთვარის მხარეზე სტაციონარულ მდგომარეობაში.

ამგვარად, პირველად ისტორიაში მთვარეზე მოქმედებს სპეციალური სატრანსპორტო აპარატი, რომელიც არაჩვეულებრივად გააფართოებს მთვარის შესწავლის შესაძლებლობებს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს აპარატი კარგად ემორჩილება მეცნიერთა რადიოსიგნალებს დედამიწიდან, რაც შესაძლებლობას იძლევა მოეწყოს სხვადასხვა კვლევა.

„ბრწყინვალე წარმატება“ — ასე აფასებს საბჭოთა კოსმოსურ ექსპერიმენტს დასავლეთგერმანული „დი ველტი“. უდავოა, — წერს გაზეთი, — რომ უმძღოლოდ, ადამიანის მიერ შემქმნილი პირველი მანქანის მოძრაობა მთვარის ზედაპირზე მკუთვნის კოსმონავტიკის ყველაზე მნიშვნელოვან ტექნიკურ მიღწევათა რიცხვს.



სადგური „ლუნა-17“ „ლუნოხოდ-1“-ით მთვარის ზედაპირზე.

ვულოცავთ!

ზურაბ სოტკილავას — ოქროს მედალი

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ერთ კვირას მიმდინარეობდა ფრანსისკო ვინიასის სახელობის მომღერალთა მეორე საერთაშორისო კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობდნენ 19 ქვეყნის საუკეთესო მომღერლები, მათ შორის თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზურაბ სოტკილავა.

და აი შორეული ესპანეთიდან სასიხარულო ცნობა მივიღეთ: ზურაბ სოტკილავამ პირველი პრემია და ოქროს მედალი მოიპოვა. ქალთა შორის გამარჯვება წილად ხვდა საბჭოთა მომღერალს ელენე ობრაზცოვას.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია თავის მკითხველებთან ერთად მხურვალედ ულოცავს ზურაბ სოტკილავას ამ ბრწყინვალე გამარჯვებას.

გაისად, გაზელის გამოფენაზე

გაისად, 3-დან 23 ივნისამდე შვეიცარიის ქალაქ ბაზელში გაიმართება საბჭოთა კავშირის სამრეწველო-სავაჭრო გამოფენა, სადაც რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველოს ექნება დამოუკიდებელი პავილიონი 500 კვადრატული მეტრი ფართობით. გამოფენის ძირითადი მიზანია შვეიცარიელებს გააცნოს საქართველოს მიღწევები 50 წლის მანძილზე. დამთვალიერებლები ცალკეული ექსპონატებით, მოდელებით, დიაგრამებით, სქემებით, ფოტოსურათებით, კინოფილმებითა და სხვა მასალებით გაეცნობიან საბჭოთა საქართველოს დღევანდელ ცხოვრებას, მის მდიდარ წარსულსა და ნათელ მომავალს.

განზრახულია გამოფენაზე ქართული მარკის 100-ადგილიანი საექსკურსიო გემის „კომეტას“ ჩატანა, რომელიც დამთვალიერებლებს მოემსახურება.

გამოფენის მხატვრულ გაფორმებას უხელმძღვანელებს არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი.

ყოველივე ამაზე ამ დღეებში ჟურნალისტებს უამბო პრეს-კონფერენციაზე საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რაფიელ ელიგულაშვილმა.

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრია

საქართველომ ხალხმა 50 წლის მანძილზე სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების დიდი და სახელოვანი გზა განვლო. ეს გზა რთული, მაგრამ ფრიად ნაყოფიერი იყო. მისი სირთულე განაპირობა რესპუბლიკის ეკონომიკურმა მდგომარეობამ. საქართველოში საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ხასიათდებოდა მრავალწყობიანობით. ზოგიერთი მათგანი — სოციალისტური და სახელმწიფოკაპიტალისტური, — წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. დანარჩენი კი — პატრიარქალური წვრილსაქონლური და კაპიტალისტური — დარჩა ადრინდელი ეკონომიკური წყობილებიდან. ბუნებრივია, რომ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში სოციალისტური წყობა წარმოადგენდა უმაღლეს, მეურნეობრივი ცხოვრების განმსაზღვრელ წყობას და საბჭოთა ხელისუფლებაც ძირითადად მას ეყრდნობოდა.

სოციალიზმის მშენებლობა საქართველოში მოითხოვდა მშრომელთა ძალების და შესაძლებლობათა უდიდეს მობილიზებას, ვინაიდან სოციალისტური სახელმწიფოს საფუძვლის შენება ხორციელდებოდა ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში. ეკონომიკური ჩამორჩენა განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა წლებში. ამ პერიოდისათვის მრეწველურ საწარმოთა დიდი ნაწილი უმოქმედოდ იყო, ხოლო დანარჩენი მუშაობდა ნაწილობრივი დატვირთვით. საგრძნობლად გაიცვითა საწარმოთა აღჭურვილობა. 1921 წელს მოწყობილი გამოკვლევით, საქართველოს მრეწველობის შედარებით განვითარებული დარგის — თამბაქოს მრეწველობის იარაღ-დანადგართა საერთო მასიდან 60 პროცენტზე მეტი უვარგისი იყო. გადამმუშავებელ მრეწველობაში, რომელიც მთელ მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა თითქმის 80 პროცენტს მოიცავდა (1920 წელი), შემოწმებული 392 საწარმოდან 75 პროცენტი ნაწილობრივ მოქმედებდა, ხოლო 25 პროცენტი სრულიად უმოქმედოდ იყო; საწარმოთა ორ მესამედს არ ჰქონდა ნედლეულის მარაგი: დაბალი იყო შრომის მწარმოებლობა. მრეწველობის ძირითადი დარგების შრომის მწარმოებლობა, როგორც წესი, ომამდელ დონესთან შედარებით 25-55 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მრეწველობაში ჭარბობდა წვრილსაქონლური წარმოება. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1921 წელს მრეწველობის ძირითად ცენტრში, თბილისში, სამრეწველო საწარმოთა აბსოლუტურად უმეტეს ნაწილში (83 პროცენტი) მუშათა რაოდენობა 5 კაცს არ აღემატებოდა და საწარმოთა მხოლოდ 2,3 პროცენტში 100 და მეტი კაცი მუშაობდა.

მხოლოდ ეკონომიკური ცხოვრების ყოველმხრივი გათვალისწინებით შეიძლებოდა სოციალისტური ეკონომიკისა და, კერძოდ, მრეწველობის დაჩქარებული მშენებლობა. უკვე 1921-1925 წლებში პროდუქციის წარმოებამ მრეწველობის ზოგიერთ დარგში ომამდელ (1913 წლის) დონეს გადააჭარბა. ფაქტიურად აღდგენითი პერიოდი საქართველოს სახალხო მეურნეობაში უფრო ადრე (1924/25 წლისათვის) დამთავრდა, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში, მაგრამ ომამდელი დონე ხომ ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნის დონე იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ მრეწველობიდან შემოსავლის ხვედრი წონა საერთო-სახალხო შემოსავალში 1913 წელს ძლივს აღწევდა 25 პროცენტს. 1923/24 წლისათვის ის კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირდა და შეადგენდა 20 პროცენტზე ნაკლებს. სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო ფერხდებოდა საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება. საჭირო გახდა მისი საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა.

საბჭოთა საქართველოს ჰქონდა მდიდარი წიაღისეული, სოფლის-მეურნეობრივი ნედლეულის ბაზა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, მრავალი სახეობის ლითონური და არალითონური წიაღისეული, საშენი მასალები და სხვა, რომელთა ჩაყენება ხალხის სამსახურში შეუძლებელი იყო საკუთარი ინდუსტრიის განუვითარებლად.

მაგრამ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის მარტო ნედლეული როდი კმაროდა. საჭირო იყო ამ უდიდესი წამოწყების სათანადო დაფინანსება, რაც იმ დროს ახალგაზრდა რესპუბლიკის საკუთარ შესაძლებლობებს აღემატებოდა. და აი აქ კვლავ იჩინა თავი ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდმა ჰუმანურობამ — როგორც ცნობილია, შიგარესაბჭოურ წყაროებთან ერთად საქართველოს ინდუსტრიალიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო მთავრობის დახმარებას. ჯერ კიდევ 1923 წელს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის საკავშირო სახსრებიდან საქართველომ გრძელვადიანი სესხის სახით მიიღო 750 ათასი ჩერვონული მანეთი და ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა მთავრობა თვითონ განიცდიდა დიდ ფინანსურ გაჭირვებას.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკა მიზნად ისახავდა მეფის რუსეთის ეკონომიკურად ჩამორჩენილი განაპირა ნაციონალური მხარეების დაჩქარებულ განვითარებას, არსებული ფაქტიური უთანაბრობის მოსპობას. ამ პოლიტიკის შესაბამისად, საქართველო უნდა ქცეულიყო ეკონომიკურად მოწინავე რესპუბლიკად, გამოსულიყო იმ კოლონიური, ნედლეულის მიმწოდებელი ქვეყნის მდგომარეობიდან, რაც მისთვის მეფის რუსეთის პირობებში იყო დამახასიათებელი.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მტკიცე გზა აიღეს სოციალისტური მრეწველობის კერების შესაქმნელად. დაიწყო ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა, მათი აღჭურვა ახალი მანქანებითა და დანადგარებით. შეიცვალა სოფლის მეურნეობის წარმოების სტრუქტურა. წარმოიშვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი, კვების, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა. რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაცია აუცილებელი პირობა იყო გადამეტი მოსახლეობის ლიკვიდაციისათვის. იგი ფრიად მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა სოციალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების, მოსახლეობის პროფესიულ-ტექნიკური და კულტურული დონის ამაღლებისა და საკუთარი ტექნიკური ინტელიგენციის აღსაზრდელად. მხოლოდ ინდუსტრიალიზაციას შეეძლო ეკონომიკის მრავალწყობიანობის ლიკვიდაცია, ფეოდალური და ბურჟუაზიული გადმონაშთების მოსპობა ეკონომიკაში. 1930 წლისათვის საქართველოს მსხვილი მრეწველობიდან კერძო კაპიტალი მთლიანად განდევნილი იყო. 1928 წელს შეწყვიტა თავისი მოქმედება ამერიკულმა საკონცესიო კომპანიამ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში.

1931 წლისათვის, საქართველოში საბჭოთა წყობილების დაარსების 10 წლისთავზე, არა მარტო აღდგა სახალხო მეურნეობის ომისწინა დონე, არამედ დიდი წარმატებებიც იყო მოპოვებული ინდუსტრიალიზაციასა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. ამ დროისათვის საქართველოს მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია (1926/27 წლის უცვლელი ფასებით) 9-ჯერ აღემატებოდა 1923/24 წლის დონეს და 1913 წელთან შედარებით 5.5-ჯერ გაიზარდა. განვლილ პერიოდში, განსაკუთრებით 1928-1932 წლებში, როდესაც ფართოდ გაიშალა ახალი სამრეწველო მშენებლობა, საქართველოში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე მსხვილ მრავალდარგოვან ინდუსტრიულ წარმოებას. ინტენსიურად განვითარდა სათბობ-ენერგეტიკული და



ავთანდილ გუნია,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

საბჭოთა კავშირის მრეწველური წარმოება ომისშემდგომ პერიოდში. განვითარდა თუჯის, ფოლადის, ნავთობის, მანგანუმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება. აღმოცენდნენ მრეწველობის ახალი დარგები — ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი, ახალი სახის საშენ მასალათა წარმოება. ახლა საბჭოთა საქართველოში მზადდება მაგისტრალური ელმავლები, სატვირთო ავტომობილები, უნიკალური სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, მაღალხარისხოვანი ქაღალდი, საოჯახო და კომუნალური დანიშნულების მანქანები, სანაოსნო-სამგზავრო კატარღები და მრავალი სხვა. ფრიად გაიზარდა მანქანა-დანადგარების გამოშვება კვების, კერძოდ, ყურძნის, ჩაის, კონსერვის, პურისა და სხვა სასურსათო პროდუქციის წარმოებისათვის.

მრეწველობის ამგვარმა განვითარებამ ერთობ აამაღლა როგორც წარმოების კულტურა, ისე რესპუბლიკის ეკონომიკური დონე. ამის ნათელი მაჩვენებელია არა მარტო მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპები, რომელიც ბევრად უფრო სწრაფია, ვიდრე მოსახლეობის მატება, არამედ პროდუქციის წარმოების მოცულობის განუხრელი ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე. თუ 1940 წელს საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე იწარმოებოდა 0,1 კილოგრამი ფოლადი, 1968 წელს მისი წარმოება ერთ სულზე 311 კილოგრამს შეადგენდა, ქვანახშირისა — შესაბამისად 171 და 483, ცემენტისა — 32 და 295; ელექტროენერგიისა — 203 და 1654 კილოვატს; ბამბის ქსოვილისა — 0,1 და 13 გრძივ მეტრს, შალის ქსოვილისა — 0,5 და 1.2, აბრეშუმისა — 1,4 და 6,1; ტყავის ფეხსაცმლისა — 2,4 და 2,9 წყვილს; საშაქარლამო ნაწარმისა — 2,6 და 5,9 კილოგრამს; კონსერვისა — 8 და 43 პირობით ქილას; ყურძნის ღვინო—0,4 და 1,1 დეკალიტრს; პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაისა — 3 და 11,4 კილოგრამს და სხვა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მრეწველური პროდუქციის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი რესპუბლიკის შიგნით, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოიხმარება, მაშინ ნათელი იქნება იმ დიდ წარმატებათა მნიშვნელობა, რასაც საქართველოს მრეწველობამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლის მანძილზე მიაღწია.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს მრეწველური წარმოება მნიშვნელოვანწილად შეზღუდული იყო ადგილობრივი ბაზრით, ახლა მისი პროდუქცია იგზავნება ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებად სახელმწიფოებში და კაპიტალისტური სამყაროს მრავალ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში.

რევოლუციამდე, როგორც წესი, საქართველოს საზღვრებს გარეთ იგზავნებოდა მოხმარების საგნები, საარსებო პროდუქტები (ძირითადად სოფლის მეურნეობისა და ნაწილობრივ კვების მრეწველობის პროდუქცია), ნედლი მასალა, ნახევარფაბრიკატები, პირუტყვი, წვრილი სარეწებისა და ნაწილობრივ მძიმე, მოპოვებითი მრეწველობის პროდუქცია. ახლა საბჭოთა საქართველოდან როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნება ძირითადად გადამუშავებული მრეწველობის პროდუქცია, მათ შორის სატვირთო ავტომობილები, უნიკალური, მსოფლიოში პირველად საქართველოში შექმნილი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები, ელექტრომავლები, ჰიდრომეტეოროლოგიური და სხვა ხელსაწყოები... დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ ქართულ ღვინოს, კონიაკს, ჩაის...

მრეწველობის ამგვარი განვითარება დაკავშირებული იყო დიდ კაპიტალურ დაბანდებებთან. 1921-1968 წლებში, ესე იგი 48 წლის მანძილზე სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების კაპიტალდაბანდებებმა საქართველოს მრეწველობაში სულ 3.275 მილიონი მანეთი, ანუ სახალხო მეურნეობაში მთელ კაპიტალდაბანდებათა 38,8 პროცენტი შეადგინა.

კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის მაღალმა ტემპებმა განაპირობა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის დაჩქარებული ზრდა. 1968 წელს მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1923 წელთან შედარებით 71,8-ჯერ, ხოლო 1940 წელთან შედარებით 7-ჯერ გაიზარდა. 2,7-ჯერ გადიდდა შრომის მწარმოებლობა 1940-1968 წლებში.

მრეწველობის ამგვარმა განვითარებამ განაპირობა მისი ხვედრი წონის მნიშვნელოვანი ამაღლება როგორც ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში (59,9 პროცენტი), ისე ეროვნულ შემოსავალში (42,2 პროცენტი). ამრიგად, საქართველოს სახალხო მეურნეობაში მრეწველობას წამყვანი ადგილი უჭირავს და იგი განსაზღვრავს რესპუბლიკის მთლიანი მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ დიდი გავლენა მოახდინა მოსახლეობის კულტურისა და განათლების შემდგომ განვითარებაზე, კერძოდ, მაღალკვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა ეროვნული კადრების შექმნაზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში მომზადდა კვალიფიციურ სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრი. 1968 წლის დამლევისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 291 ათასი სპეციალისტი, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე 166 ათასი კაცი, ანუ სპეციალისტთა 56,3 პროცენტი, ხოლო საშუალო განათლებით — 125 ათასი. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა საერთო რაოდენობაში დიპლომირებულ ინჟინერ-ტექნიკოსთა რაოდენობა შეადგენდა 70 ათას კაცზე მეტს, ანუ 24 პროცენტს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე საგრძნობი ცვლილებები მოხდა მუშა-მოსამსახურეთა ეროვნულ შემადგენლობაში. თუ 1921 წელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ პროფკავშირთა წევრების საერთო შემადგენლობაში ქართველები ნახევარსაც არ შეადგენდნენ, 1923 წელს ქართველები უკვე 53,1 პროცენტს შეადგენენ, სომხები — 20,7, რუსები — 20,1 პროცენტს; 1925 წელს შესაბამისად — 57,5 პროცენტი, 18,5 პროცენტი და 16,2 პროცენტი. 1927 წელს — 60,2 პროცენტი, 16,1 პროცენტი და 14,7 პროცენტი, 1930 წელს კი 61,3 პროცენტი, 15,6 პროცენტი და 13,4 პროცენტი. ამჟამად საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა შორის 78 პროცენტი ქართველია.

კვალიფიციური ეროვნული მუშათა კადრების მომზადებაში ისეთი მაღალტექნიკური დარგებისათვის, როგორიც არის მეტალურგიული მრეწველობა და საავტომობილო მშენებლობა, დიდი დახმარება გაგვიწიეს მოძმე რესპუბლიკებმა. რუსთავის მეტალურგიული და ჭუთაისის საავტომობილო ქარხნების მშენებლობის პერიოდში ასობით ქართველი ახალგაზრდა გაიგზავნა სპეციალობათა შესასწავლად რუსეთისა და უკრაინის უმსხვილეს მეტალურგიულ და საავტომობილო მშენებლობის ცენტრებში. რუსი და უკრაინელი ოსტატები ხალისით გადასცემდნენ საქართველოდან ჩასულ შორეულ მეგობრებს თავიანთ გამოცდილებას, ცოდნას, მოთმინებითა და სიყვარულით ზრდიდნენ მომავალ მეტალურგებს, მგლიანავებს, ელექტრომონტორისტებს, ცეცხლფარეშებს, მანქანათმშენებლებს...

მრეწველობაში მოპოვებულმა წარმატებებმა ყველა აუცილებელი წინაპირობა შექმნეს საბჭოთა საქართველოს ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. მომავალ წლებში კიდევ უფრო ამაღლდება და გაძლიერდება რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი — საქართველოს შრომითი კეთილდღეობის შემდგომი ზრდის მტკიცე საფუძველი.

ჩვენი კარის მეზობელი, მოძმე სომხეთი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავს აღნიშნავს.


მრავალ ტანჯვა-წვალებას გამოვლილი ქვეყანა დღეს ჩვენი დიადი სამშობლოს ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა. ვამბობთ — საბჭოთა სომხეთი და თვალწინ წარმოგვიდგება აუვავებული მხარე მაღალგანვითარებული ინდუსტრიითა და სოფლის მეურნეობით, შრომისმოყვარე, ნიჭიერი ხალხით. წარმატებები, რასაც ჩვენმა მეზობლებმა მიაღწიეს, სიამაყეს იწვევს თითოეულ საბჭოთა ადამიანში. მათი კეთილდღეობა განსაკუთრებით ჩვენ, ქართველებს გვახარებს. ოდითგანვე ხომ ასე იყო — ჭირიც საერთო გვქონდა და ლხინიც.

დღეს სომხეთის მიწას სიხარული დაჰპატრონებია და, რა თქმა უნდა, კარის მეზობლის ლხინად მოძახილს ჩვენი მრავალუამიერიც უერთდება.

ჩვენი სიყვარული უკეთ რომ გვეჩვენებინა, ამ დღეებში სომხეთის საუკეთესო შვილები საქართველოში მოვიპატიჟეთ. სომხეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, თბილისის გარდა, რუსთავი და გორიც მასპინძლობდნენ. უკანასკნელ დღეს კი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი.

შინ წასვლის წინ სტუმრები გულთბილი მიღებისათვის მადლობას გვიხდიდნენ. უხაროდათ, რომ გამართლდა დიდი პოეტის ოვანეს თუმანიანის სიტყვები. — მთელი დედამიწა რომ მოიარო, ისეთ სამეზობლო და სამეგობრო ხალხს ვერსად შეხვდები, როგორიც ქართველები არიანო.

სალამი თქვენდა, თანამოქალაქენო!



ერევანი. ლენინის სახელობის მოედანი

ციფრები და ფაქტები

სომხეთის რესპუბლიკაში ყოველ 10 ათას მცხოვრებზე უმაღლესი სასწავლებლის 220 სტუდენტი და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის 123 მოსწავლე მოდის.

● 10 ათას კაც მოსახლეზე სტუდენტთა რაოდენობით საბჭოთა სომხეთმა გაუსწრო ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, როგორიც არის საფრანგეთი, ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იტალია.

● სომხეთში 1.600-ზე მეტი სკოლაა, 53 ტექნიკუმი და 12 უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტთა აღზრდის საქმეს 3.820 მასწავლებელი ემსახურება, რომელთაგანაც 220 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია.

● სომხეთის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია ამჟამად 180-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი

სომხეთის მეცნიერება საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. იგი ჩამოყალიბდა და განვითარდა ბოლო ათეულ წლებში.

მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი სომხეთის მეცნიერებათა აკადემიამ, რომელიც 1944 წელს შეიქმნა და რომელსაც სათავეში უდგას გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი ვიქტორ ამბარცუმიანი.

სომეხმა მეცნიერებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ფიზიკის, ასტროფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, გეოლოგიისა და სხვა დარგებში. საქვეყნოდ გაითქვა სახელი ბიურაკანის ასტროფიზიკოსთა ნაშრომებმა გარეგალაქტიკური ასტრონომიის დარგში. ობსერვატორიის მუშაკებმა აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს ვარსკვლავთა სისტემის ახალი კლასი — ვარსკვლავთა ასოციაცია, რომელიც შეადგინა ერთად შექმნილი ახალგაზრდა ვარსკვლავების ჯგუფმა.

სომეხმა მეცნიერებმა შექმნეს ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ელექტრონული რაკეტური დამჭარბებელი, რომელიც ქმნის მილიარდი ელექტრონული ტის ენერგიის ელექტრონებს იძლევა. გეოლოგებმა აღმოაჩინეს არაერთი ძვირფასი სარგებლო წიაღისეული.

ერევანში შეიქმნა და მუშაობს მათემატიკური მანქანების ინსტიტუტი.

დიდი აღმავლობის გზაზეა სომხეთისა და სომხური ფილოლოგიის ისტორია.

საპატიო პრემია

18 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზიდიუმმა სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მიანიჭა პროფესორ ირაკლი ანთელავას მონოგრაფიისათვის: „სახელმწიფო გლეხები XIX საუკუნის საქართველოში“ (ორი ტომი). ეს პრემია სამ წელიწადში ერთხელ ენიჭება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში საუკეთესო ნაშრომის ავტორს.

ირაკლი ანთელავას პრემირებულ ნაშრომში, არსებითად პირველად ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, შესწავლილია სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა, რეფორმამდელი და რეფორმის შემდგომი ხანის მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები, საგადასახადო სისტემა და სხვა.

ჟურნალ „ისტორია სსრ-ში“ აკადემიკოსი ნიკოლოზ დრუჟინინი ამ ნაშრომს ასახელებს საბჭოთა კავშირში გამოსულ და სოციალურ-ეკონომიური პრობლემატიკისადმი მიძღვნილ ხუთ საუკეთესო ნაშრომთა შორის.



ლონდონური შტრიხები.

ანუ DO YOU SPEAK GEORGIAN?

ვროფესორი დავით ლანგი სასტუმროს ბარში მეპატიჟება, სადაც, მისი აზრით, კარგი სასმელებია. პასუხად სამშობლოდან წამოღებული კონიაკების მთელ ბატარეას ვუჩვენებ. ო-ო!.. „გრემი“, „თბილისი“, „დაძველებული ქართული“!.. როგორც მე, დაძველებული ქართველიო, იცინის პროფესორი. დიდებულია!.. და ჩვენც სასტუმროს ნომერში დარჩენა ვარჩიეთ.

ვავსებთ ჭიქებს და საუბარსაც მეტი ეშხი ეძლევა. შეუმჩნევლად საქმეზე გადავედივართ.

● ბატონო დავით, რაზე მუშაობს ამჟამად თქვენი კათედრა (ლანგი ლონდონის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობს)?

— თქვენ, ალბათ, იცით, რომ შარშან ორი სტუდენტი თბილისის უნივერსიტეტში მივავლინეთ. მე ვიტყოდი, პირდაპირ აღფრთოვანებულნი დაბრუნდნენ ლონდონში. ახლა ჩემთან მუშაობენ და გამოსაცემად ვამზადებთ კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს“. ეს ინგლისური თარგმანი ბწკარედის დახმარებით სრულდება და, ალბათ, ერთ წელიწადში გამოვცემთ.

● რამდენი კაცი მუშაობს ამჟამად ქართველოლოგიის კათედრაზე?

— მე და მხოლოდ ის ორი სტუდენტი.

● ბატონო დავით! ერთ ჩემ კოლეგას, რომელიც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში მუშაობს, სჭირდება ქართული ხელნაწერი ჟურნალი „მუშა“. ჩვენს ბიბლიოთეკებსა და არქივებში იგი არ აღმოჩნდა. იქნებ ბრიტანეთის მუზეუმში მრავალ ქართულ დოკუმენტსა და ხელნაწერებში ეს ჟურნალიც იყოს დაცული?

—ბრიტანეთის მუზეუმში ნამდვილად არის ქართული მასალები, მრავალი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ, ინგლისელებს, არ გვჭირდება. ვიფიქრებ, გადავხედავ და ვეცდები გადმოგცეთ.

● დიდი მადლობა... აბა, ბატონო დავით, თქვენი სახით საქართველოს ყველა მეგობარსა და გულშემატკივარს გაუმარჯოს!

— გაისად თბილისში ქართველოლოგთა კონგრესი უნდა გაიმართოს. სულითა და გულით მივისწრაფი მისკენ. გაუმარჯოს საქართველოს!

პროფესორი შარშან ირანში ყოფილა და ფერეიდნელი ქართველები უნახავს. წლეულსაც უმოგზაურია თეირანში და უკან დაბრუნებისას ირანის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს დოქტორ არდალანს მიუწვევია ბინაზე. მერე იქიდან ერთ-ერთ ირანულ ოჯახშიც გადაუპატიჟებიათ და უწვენებიათ ძველი უწარწერო ნახატი, რომელზეც სპანდიარის ბრძოლაა ასახული. ერთადერთი წარწერა — სპანდიარე, ქართულად არის შესრულებული და, ფიქრობენ, იქნებ ქართველია მისი ავტორიო. ნახატი, ვარაუდით, იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა. შესაძლოა, აღნიშნული სურათი ალექსანდრე ბატონიშვილს ან მისი ოჯახის რომელსამე წევრს ეკუთვნოდა. როცა თეირანს ჩავალ, დაწვრილებით გამოვიკვლევ ამ სურათის ისტორიას. შეიძლება საინტერესო აღმოჩენაც გაკეთდეს. საერთოდ, სპარსული დოკუმენტები ზღვა მასალას შეიცავს ქართველოლოგიისათვის და ამ მხრივ მუშაობისათვის ვემზადებიო, დასძინა ბოლოს პროფესორმა.

დავით ლანგი მეორედ უკვე მის ბინაზე ვინახულე. პროფესორი იმავე შენობაში ცხოვრობს, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტთა ბინებია მოთავსებული. აქვეა მისი სამუშაო კაბინეტიც, ქართული წიგნებითა და უცხოეთში გამოცემული უამრავი მასალით სავსე, ჩვენს ყოფას, ისტორიას, კულტურას რომ ეხება.

უდიდესი ბედნიერებაა უცხოეთის ცის ქვეშ ისმენდე ქართულ ენას და გრძნობდე მადლსა და ძალას სრულიად მარტივი სიტყვებისა — ჩვენი უცხოელი გულშემატკივარი. და რაც უნდა მოხდეს მომავალში, ჭეშმარიტი განძივით გავუფრთხილდები პროფესორ დავით ლანგის მიერ სამახსოვროდ გადმოცემულ საუკუნოვანი ქართული ხატივით ფერდაკარგულ, ერთ პატარა წიგნს:



განდეგილი

ლეგენდა

დაწერილი პრინც ჭავჭავაძის მიერ

პიკადილი

1895 წელი.

ჩემს გვერდით, ზედ გრინვიჩის მერიდიანზე, თავისთვის ჩუმად მობუზულიყო პატარა ინგლისური ბეღურა. ილეოდა შთაბეჭდილებით აღსავსე ერთი დღეც, დღე, რომელმაც კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა მომიტანა.

...რამდენიმე საათით ადრე, შუადღისას, ჩვენი სასტუმროს შესასვლელთან საოცრად ნაცნობ მომდიმარ სახეს მოვკარი თვალი. კარგად დავაკვირდი. ეს ხომ ალექსანდრე ბესტავაშვილია! გადავეხვიეთ ერთმანეთს. — საიდან სადაო, ბიჭო! აქ ამ სიშორეზე, რამ მოგიყვანაო, და თან თავისთვის ბუტბუტებდა — ჩვენი პატარა საქართველოო.

ალექსანდრე ბესტავაშვილს ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს. იგი ამ რამდენიმე თვის წინათ გავიცანით თბილისში. საოცარია, კაცი მთელი ოთხი ათეული წელიწადია უცხოეთში ცხოვრობს და ასე წმინდად ინახავს გორული მეტყველების ეშხს.

— საიდან სადაო, ბიჭო, ჰა?... მართლა არ აასრულე შენი სიტყვაი. აი, ყური დამიგდე კარგათა!.. რო ჩამოხვალი, ბიჭო, ხო გთხოვე თბილისშია, მაშინათვე დამირეკეი-მეთქი... აბა, ახლა დროს ნუღარ დავკარგამთ, საინტერესო რამეები ვნახოთ.

და შევიგრძენით ბევრი რამ: ქალაქის გულისფეთქვა და ლონდონელთა გულღია ჯენტლმენური ბუნება, ტემზისა და ვესტმინსტერის სააბატოს სიდიადე, ნელსონის ტაძერნისა და ვატერლოოს ხიდის კარგად ცნობილი ისტორიების ნაღვლიანი და საოცრად ნაზი, ღრმა ზემოქმედება.

ბოლოს, გრინვიჩ ვილიჯიდან ქალაქისაკენ რომ გამოვბრუნდით და დასურული, კარგა ნახმარი ნაცრისფერი მანქანა არხეინად მიიკვლევდა გზას ავტომობილებით გაჭედილ ქუჩებში, ალექსანდრე მომიბრუნდა და მითხრა:

— ბიჭო, კარგა ლაზათიანად კი მომშივდა და!..

მიქელდება როუდ, 11. აჰა, უკვე მოვედით. ხელმარცხნივ ტიპურ ინგლისურ სახლს შევავლე თვალი.

კარმიდამო შევათვალიერე. დაბალი ხის მესერი ალაგ-ალაგ კუთხეებში მოღრეცილიყო. ძველებურად მისწოლოდა ინგლისის მიწას. ამას პატარა შეკეთება ხომ არ უნდა-მეთქი, ვკითხე. არაო, გაიღიმა. ეგ ამ 30 წლის წინათ გავაკეთე. ხელსაც არ ვახლებ. დარჩეს ჩემი ახალგაზრდობის მოსაგონრადო.

იყო ნამდვილად რაღაც ქართული ამ ნათქვამში.

...ჩვეულებრივი ინგლისური კომფორტული დარბაზი ქართული ხანჯლებით, ქართული ნივთებითა და ქართული ლაპარაკით.

თქვენ თუ ლაპარაკობთ-მეთქი ქართულს? ვკითხე ინგლისურად გოგის, ბესტავაშვილების გვარის ჯამგრძელებელს ლონდონში. არაო. სათითაოდ გავიცანი ჯერ ალექსანდრეს მეუღლე, ქალბატონი თორა, შემდეგ ქალიშვილებიც — მერი და ქრისტინე. არც ქალიშვილებმა იციან ქართული? კეთილი, როდის უნდა ისწავლოთ? როდის და, საქართველოში რომ ჩამოვალთ. როდის ჩამოხვალთ? როგორც კი ვიზას მივიღებთ თბილისიდანო.

გარეთ უკვე დაღამდა. სასტუმრო ოთახში გულღიად ვსაუბრობთ ერთი ინგლისელი და ხუთი ქართველი, რომელთაგან მხოლოდ ორი ლაპარაკობს ქართულად. პატარა აღმოსავლურ მაგიდაზე გორული დოქი დგას, ვასილ ბესტავაშვილის საფლავიდან წამოღებული მიწით სავსე.

— ეჰ, დედაჩემს ვერ ჩავუსწარი. მამაჩემის გვერდით დამარხეს გორში. ჰოდა, ეს მიწა იმის საფლავიდანაც არის... საცოდავი, — თქვა და ცრემლმა დაუნამა თვალები. — პანაშვიდი ამ მიწას გადავუხადე.

გული მეტკინა.

გოგი ბეთჰოვენს უკრავდა. კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ჭაბუკ პიანისტს. აბა, ახლა ეს ნახეო, თქვა ალექსანდრემ და ჩემ წინ მაგიდაზე რამდენიმე მრავალგვერდა ინგლისური გაზეთი დადო. დავიწყე თვალიერება. არა, კაცო, რანაირად ათვალიერებ, მეთქვსმეტი გვერდი გადაშალეო. გადავშალე და ვკითხულობ ანშლაგს: „რთველი მიქელდეგას ქუჩაზე!, მისტერ ბესტმა (ალექსანდრე ბესტავაშვილი ასე იწერება ლონდონში) სასწაული მოახდინა!“ ჰო, მართლა, დამავიწყდა მეთქვა, რომ ბატონმა ალექსანდრემ, უპირველეს ყოვლისა, თავისი სახლის უკან პატარა ბაღში გამიყვანა და უდიდესი სიამაყით შემატყობინა, წლეულს ჩვენებური ატამი გამოვიყვანე ლონდონის მიწაზეო, სახელგანთქმული ბესტავაშვილისეული ატამიც მიჩვენა. ჰოდა, აი ეს ყველაფერი — თუ როგორ ჩამოიტანა ამ რამდენიმე წლის წინათ მამისეული ატმის კურკა და ვაზის ციცქნა ძირი, როგორ ჩარგო მიწაში და როგორ იხარა ქართულმა ნერგმა ბრიტანეთის მიწაზე — ჩემ წინ მაგიდაზე დაწყობილ გაზეთებში ეწერა. ეს იყო სრული ფურორი. ლონდონს ხომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ატამი საფრანგეთიდან შემოაქვს. ინგლისელი აგრონომები ამტკიცებენ, ჩვენი მიწა უვარგისია ამ გემრიელი ხილისათვისაო და აი, ვინმე ალექსანდრე ბესტმა, პატარა შემკეთებელი კანტორის მფლობელმა, უცქირად საკუთარ ეზოში მოწყვეტილი ატმით ჩაიტკბარუნა პირი, მერე წერია, თუ ვინ არის მისტერ ბესტი ანუ ბესტავაშვილი, ვინ იყო მამამისი, და სხვა.

გაზეთებიდან მისტერ-ბესტის გაბადრული სახე იცქირება, გული მწყდება, რომ თბილისში ვერც ერთი გაზეთი ვერ ჩამოვიტანე.

წამოსვლის წინა ღამეს, სასტუმროში დაბრუნებისას უკანასკნელად მოვიხსრიკე ჯიბე, ქრისპენსიანი ამოვაძვრინე, წამით ტელეფონ-ავტომატთან გავჩნდი და ნომერი ავკრიფე. მისტერ ბესტი ვიკითხე. ცოტა ხნის შემდეგ ყურმილში გაისმა:

— ალო, ბესტი ვარ.

— გამარჯობათ, ბატონო ალექსანდრე!

— ვასო, შენა ხარ?

— დიახ... დილით მივფრინავ...

—?!

— როგორ არის საქმეები?

— იცი რა, ვასო... ახლა სწორედ ვიძინებდი. ხვალ დილით ადრე ჩემს ოფისში უნდა ვიყო... აბა, კარგა იმგზავრე, ბიჭო!... ჩვენები, მამიდა მომიკითხე, თქვენი რედაქციის გოგო-ბიჭებიც...

დრო თვალსა და ხელსშუა გამიძვრა. ვერც იმ სამმა საათმა მიშველა, თბილისის დროს რომ მაშორებდა. პირიქით — სწორედ იმ ღამეს ნათლად ვიგრძენი, თუ რა ყოფილა სხვაზე ადრე მზის შეხვედრის ძალა. აღმოსავლეთიდან მობრწყინავს მნათობი... ამას მე ვგრძნობდი მაშინაც, როცა ფრანგულა „კარაველას“ მომხიბვლელი სტიუარდესების ღიმილის თანხლებით უკან ჩამოვიტოვე ლონდონის უზარმაზარი კვარტალები იმ ქართველებით, რომელთა ნახვაც შევძელი და ვერც მოვახერხე. ხოლო ის ქვეყანა, სადაც ჩემთვის უძვირფასესი მიწა, წყალი და პაერია, სადაც მე არ მომიხდება უკანასკნელი შილინგის მოსაძებნად ჯიბეში ხელის ფათური, ჩემს სისხლსა და ხორცში ისეა გამჯდარი, როგორც მარილი იმ მთიელი მეცხვარის გუდაში, მთელი თავისი სიცოცხლე ცადაწვდილ მთებსა და ვერცხლისფერ მდინარეებს რომ შეხარის და არავინ, არასოდეს და არსად შეეკითხება, თუ რატომ არ ლაპარაკობს იგი ინგლისურად!

ვასილ მჭედლიშვილი,


„სამშობლოს“ სპეციალური კორესპონდენტი.


ლონდონი-თბილისი.

სურათზე: ალექსანდრე ბესტავაშვილი თავის მანქანასთან.

ავტორის ფოტო







საქართველო თვალის ერთი გადავლებით

● კუს ტბის მახლობლად, მაღალი კლდის ქიმზე, მედიდურად წამოჭიმულა ზვიადი სვანური კოშკი, რომელიც საოცრად შთამბეჭდავად აკითხება მწვანე მთებისა და მზით განათებული ცის ფონზე. აშოლტილი, ამაყი, დინჯი, საუკუნეთა მიღმიდან დაჰყურებს იგი თბილისის ახალდახალებებს.

საიდან გაჩნდა აქ, თანამედროვე თბილისის თავზე შუა საუკუნეების სვანური კოშკი?

ჩვენი დედაქალაქის ამ ლამაზ მიდამოებში, ვაკის პარკის ზემო ფერდობებზე, რამდენიმე წელიწადია შენდება **ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი.** სვანური კოშკი ამ დიდებული პანორამის ერთ-ერთი პირველი მახარობელია.

ასეთივე მუზეუმები ცოტა, მაგრამ მაინც არსებობს ჩვენშიც (რიგა, ვილნიუსი, ტალინი) და საზღვარგარეთაც (ამერიკა, ჰოლანდია, შვეცია, დანია, ფინეთი). თბილისში მისი შექმნის იდეა წამოჭრა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ. პროექტის შედგენა ითავა არქიტექტორმა პროფესორმა ლონგინოზ სუმბაძემ სამუზეუმო საბჭოს თავმჯდომარის, მხცოვანი მეცნიერის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას კონსულტაციითა და მონაწილეობით.

რედაქციამ სთხოვა პატივცემულ გიორგი ჩიტაიას მოეთხრო ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ხსენებული მუზეუმის შესახებ.

— ღია მუზეუმში შესვლისას სტუმრები პირველად საქართველოს დიდ რელიეფურ რუკასთან მივლენ, რომელიც დეკორატიული აუზიდან იქნება ამოზიდული. აქ თვალის ერთი გადავლებით მთელ საქართველოს დაინახავენ — ამერსაც და იმერსაც, მთასაც და ბარსაც. შემდეგ კი საბაგირო გზით ზემოთ გაემართებიან.

ცაში აჭრილებს ისევ საქართველო დაუდგებათ თვალწინ, ამჯერად უფრო ვრცლად, 50 ჰექტარზე გაშლილი. საბაგირო გზის ზემო ბაქანზე, სვანურ კოშკთან ჩამოხდებიან და აქედან შეუდგებიან „საქართველოში“ მოგზაურობას.

გზა ისეა დაგეგმილი, რომ სასიამოვნო და ნაკლებდამღლელი იყოს, — ეს ტერიტორია ხომ ძალზე დამრეცია. საბაგირო გზის აგებაც ამიტომ გადაწყდა. თუ არადა, „მოგზაურებს“ ალმართზე თხუთმეტიოდე კილომეტრის გავლა მოუხდებოდათ ფეხით!

საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები ამ ღია მუზეუმში ათ ძირითად ზონად განლაგდება, რომელთაც შუაში ორი მერიდიანული პატარა ხევი ორ ნაწილად გაჰყოფს. აღმოსავლეთი საქართველო წარმოდგენილი იქნება ხუთი ზონით და ამდენივეთი — დასავლეთი საქართველო. ყველა ზონის ობიექტები ტერასებად განლაგდება.

ამ ძირითადი ტერიტორიული ერთეულების გარდა, ღია ცის ქვეშ მუზეუმში შეიქმნება კიდევ სამი ზონა: ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების, გამყოფი მწვანე და ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი.

გამყოფი მწვანე ზონა (ორ ხევს შუა ადგილი) დამთვალიერებელთა დასვენებისათვის არის გათვალისწინებული. ერთ-ერთ ხევში, წყალზე დაიდგმება წისქვილები. ქვემოთ გაშენდება საკმაოდ მოზრდილი ხელოვნური ტბა მეთევზეობასა და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ნაგებობებით. ტბაში ჩაუშვებენ ჩვენებურ ტივებს, მეგრულ ნავებს, ლაზურ სანდლებს... ამ ზონაშივე გაკეთდება ისტორიული წყაროები — საქართველო ხომ ცნობილია საოცრად ღამაზი წყაროებით.

ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების ზონაში უკვე ექსპონირებულია VI საუკუნის ძეგლი — თიანეთის სიონის ტაძარი და უფრო ადრინდელი ხანის აკლდამა. ეს ტაძარი სიონის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით 1967 წელს დაშალეს და აქ გადმოიტანეს.

აღსანიშნავია, რომ ამ მუზეუმში უპირატესობას ორიგინალურ ობიექტებს ვაძლევთ. მაკეტის ან პირის გამოყენებას კი ბოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მივმართავთ.

ამავე ზონისათვის გროვდება საფლავთა ქვები. ჩვენში ძალზე ბევრია ისტორიულად საინტერესო ასეთი ძეგლი. მათზე ამოტვიფრულია ის საქმიანობა, რასაც მიცვალებული სიცოცხლეში ეწეოდა. გვხვდება ადამიანთა და შინაურ ცხოველთა გამოსახულებანი. ამ ქვების მიხედვით მთელი ისტორია შეიძლება დაიწეროს ადამიანთა მატერიალური კულტურის განვითარებაზე.

ქართული საცხოვრებელი სახლები რამდენიმე ძირითად ტიპად იყოფა. ესენია: აღმოსავლურ-ქართული მიწურ-ბანიანი სახლი (დარბაზი და მისი სახესხვაობანი), დასავლურ-ქართული ისლის ან ყავრის სახურავიანი ხის (ჯარგვალური ან ფიცრული) სახლი, რომლის ყველაზე განვითარებული სახეა ოდა-სახლი და, საქართველოს მთიანეთის 2-3-სართულიანი ციხე-სახლი. მუზეუმის ტერიტორიაზე ნაჩვენები იქნება ყველა ტიპის „წარმომადგენელი“.

საქართველოში შენახულია ყველაზე მდიდრული და მრავალნაირი დარბაზები, რომელთა გვირგვინული თავანიც ფართოდ იყო გავრცელებული არა მარტო ჩვენში, არამედ ჩსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც. ერთ-ერთი ასეთი დარბაზი, გადმოტანილი მესხეთიდან, ჯარძიის გვერდით მდებარე სოფელ ჭობარიდან, უკვე აიწყო მუზეუმის ტერიტორიაზე. განსახულია კიდევ ყველაზე გავრცელებული ტიპის რამდენიმე დარბაზის ექსპონირება.

უკვე ექსპონირებულია წითელი კრამიტით გადახურული მეგრული ოდა აბაშის რაიონის სოფელ მარანიდან. მნახველებს ელით ისლით გადახურული გურული სამზადი, ბეღელი, ნალია, ყავრით გადახურული რაჭული შუასახლი, ამბროლაურის რაიონის სოფელ პირველი ტოლადან ჩამოტანილი. სულ გათვალისწინებულია 100-მდე კარმიდამოს მოწყობა.

ობიექტებში აისახება მთელი შინამრეწველობა — რთვა და ქსოვა, კალათების წვნა, საყოფაცხოვრებო ნივთები, კერამიკა. უზოებში, რომლებიც საქართველოსათვის დამახასიათებელი ყველა სახის ღობით იქნება ერთმანეთისაგან გამიჯნული, გამოიფინება ურემი, სახნისი, საფქვავი ქვები, სხვადასხვა სამეურნეო იარაღი.

მუზეუმის ტერიტორიაზე გაიხსნება სახაზეშლები, სადაც დაამზადებენ ეროვნულ კერძებს, ფარდულებში გაიყიდება ხალხური ხელსაქმის ნაკეთობანი, კერამიკული ჭურჭელი, სამჭედლო საქმის ნიმუშები, ხის კვეთილობა, ლითონის სამკაულები.

მუზეუმი ღია ცის ქვეშ მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლებისა და მათი ინტერიერის საცავი როდი იქნება. იგი იქნება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაც საექსპოზიციო პავილიონითა და კინოსალექციო დარბაზით, სამეცნიერო კაბინეტებით.

მუზეუმის ტერიტორიაზე გაიმართება სახალხო დღესასწაულები — სვანური ლამპრობა, ქართლ-კახური ბერიკაობა, მოსავლის აღების დღესასწაული...


პირველი რიგის სამუშაოები გაისად თებერვლისათვის დამთავრდება. ფართო საზოგადოებას საშუალება ეძლება გაეცნოს საუკუნეების მიღმა აღმოცენებულ საბინაო არქიტექტურის დიდებულ ძეგლებს, ხალხური ოსტატობის; მშენებლობისა და ხელოსნობის შესანიშნავ ნიმუშებს, უძველეს საწასაობითს ტრადიციებს...

საუბარი ჩაიწერა **ლია მიქაძემ.**



სურათებზე: მარცხნივ ზევით — გურული ბეღელი. მარჯვნივ — მეგრული ოდა. ქვევით — მარცხნივ: გურული კარ-მიდამოს ერთი კუთხე. მარჯვნივ — თიანეთის სიონის ტაძარი, შინაგანი ხედის ფრაგმენტი.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო



მოკლედ

პირველი პერსონალური

ცამსახურებული მხატვარ-გრაფიკოსის ჯემალ ლოლუას ნამუშევრები ხშირად ამშვენებენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა გამოცემას. მათ შეხვდებით ჟურნალების „ცისკრის“, „ხომლის“, „პიონერის“, „დილის“, „ნიანგის“ ფურცლებზე, ბევრ მხატვრულ გამოცემას ამკობს მისი საუცხოო ილუსტრაციები.

ამ დღეებში გამომცემლობა „მერნის“ სალონში გაიხსნა ჯემალ ლოლუას პირველი პერსონალური გამოფენა. მასზე მხატვრის 92 საუკეთესო ნამუშევარია წარმოდგენილი. მათ შორის არის გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციური ლექსების ციკლზე შექმნილი ილუსტრაციების სერია, რომლისთვისაც მიენიჭა მხატვარს საქართველოს კულტურის სამინისტროს პირველი პრემია. „მერნის“ სალონში გამოფენა გახსნა გამომცემლობის დირექტორმა პოეტმა კარლო კალაძემ. სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ჯანსულ ჩარკვიანი, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი ნოდარ დუმბაძე, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი ელგუჯა ამაშუკელი და სხვები.

გამოფენა ერთ თვეს გასტანს.

გეთჰოვენის ყველა სონატა

ქალგაზრდა ქართველმა კომპოზიტორმა და პიანისტმა ნოდარ გაბუნიამ დიდი სიამოვნება მიანიჭა კლასიკური მუსიკის მოყვარულთ. დედაქალაქის მსმენელთა წინაშე მან შეასრულა ბეთჰოვენის ყველა 32 სონატა. ძალზე შრომატევადი სამუშაო ხელოვანმა დიდი კომპოზიტორის დაბადების 200 წლისთავს მიუძღვნა.

სტუმრები ნორვეგიიდან

ქართველი მწერლები რამდენსამე დღეს მასპინძლობდნენ ცნობილ ნორვეგიელ მწერლებს **ფინ ქარლინგს, ოდ ვინგერსა და ერვინ ლარკ-ფოლკს.** ეს იყო ნორვეგიელ მწერალთა პირველი სტუმრობა ჩვენს რესპუბლიკაში.

სტუმრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობანი, შეხვდნენ ოფიციალურ პირებსა და მწერლებს, ჰქონდათ საინტერესო საუბრები.

ზაგრების ლიტერატურული საუბრები

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი იოსებ ნონეშვილი გაემგზავრა ბელგრადს. იგი მონაწილეობას მიიღებს „ზაგრების ლიტერატურულ საუბრებში“, რომელიც მცირე ერების ლიტერატურის პრობლემათა განხილვას ეძღვნება.

ჩვენი კალენდარი

მიხეილ ჯავახიშვილი

დაბადების 90 წლისთავის გამო

ერის ფიქრი და იდეალი, აზრი და გრძნობა, წუხილი და სიხარული, ხალხის სულისკვეთება, უპირველესად, ლიტერატურაში აისახება.

ყოველი ეროვნული ლიტერატურა შეიძლება შევადაროთ ბაღად სამრეკლოს, რომლის ზარები გამუდმებით რეკავენ და რეკავენ, რათა ხალხი გამოაფხიზლონ და კაცობრიობის მაღალი იდეალების რწმენა განუმტკიცონ, თავისუფლების, პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმისაკენ მოუწოდონ.

დიდი მწერალი სამრეკლოს დიდი ზარია, რომელიც თავისებურსა და განუმეორებელი ჟღერადობის ხმას გამოსცემს. XX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ასეთი დიდი ზარი სწორედ მიხეილ ჯავახიშვილია, რომლის ხმა და მოწოდება მუდამ გვესმის და თაობები მას მომავალშიც გაიგონებენ.

ექვსმა სქელმა ტომმა ვერ ჩაიტია მწერლის ნაწერები და ახლა იგი კვლავ გამოდის 8 ტომად. ამ წიგნებში მომწყვდეულია მიხეილ ჯავახიშვილის ნაფიქრი და ნააზრევი, მისი სული და გულისცემა, მაგრამ ვის შეუძლია დაამწყვდიოს, თუნდაც მრავალ ტომში მოაქციოს დიდი მწერლის მღელვარე და მშფოთვარე სული?! იგი ხალხშია გადასული და მის სუნთქვასთან, მის გულისცემასთან ერთად სუნთქავს და ცოცხლობს, დანავარდობს და ფრთაშესხმული დაჭრის, უფრო და უფრო იპყრობს მრავალ მკითხველს და მის სიცოცხლესთან ერთად განაგრძობს სიცოცხლეს...

რით დაიპყრო მწერალმა მკითხველი? უპირველესად, იმით, რომ ხალხი ცხოვრებაში ღრმად ჩაახედა და ბევრი ისეთი რამ დაანახა, რასაც სხვა ვერ ხედავდა. მიხეილ ჯავახიშვილი ყოველთვის ცხოვრების მხარდამხარ მიდიოდა, თვითონ ტრიალებდა მის შუაგულში და ნანახსა და განცდილს განსაცვიფრებლად გვიხატავდა.

1903 წელს მოკრძალებით შეაღო მან ქართული ლიტერატურის ნათელი ტაძრის კარი და რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში სულ რვა მოთხრობა დაწერა, მაგრამ მათი თემატიკა და წერის მანერა ისეთი იშვიათი თავისებურებით გამოირჩეოდა, რომ მაშინვე ალაპარაკა დიდი გემოვნებისა და მკაცრი მოთხოვნილების მქონე ლიტერატორები —გრიგოლ რცხილაძე, კიტა აბაშიძე, ალექსანდრე ხახანაშვილი და მრავალი სხვაც.

ის ხანა ადამიანისგან მოითხოვდა უფრო აქტიურსა და პრაქტიკულ მოქმედებას. რევოლუციის გამარჯვებასა და ცარიზმის დამხობაზე მოწინავე ქართველობა დიდ იმედებს ამყარებდა, სოციალურსა და ეროვნულ განთავისუფლებას მოელოდა. ამ მიზნებისათვის კი მსხვერპლის გაღებაც სასიხარულო იყო. ამ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ მიხეილ ჯავახიშვილი გაიტაცა ჟურნალისტურმა მოღვაწეობამ და მჭიდროდ პუბლიცისტური ჟანრით იბრძოდა რევოლუციის მხარეზე. ცარიზმს შეუმჩნეველი არ დარჩა მისი ასეთი საქმიანობა და იგი სამართალში მისცა. მიხეილ ჯავახიშვილმა თავს გაქცევით უშველა და ევროპაში გაიხიზნა.

რომ იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო, მიხეილსაც ასე დაემართა: იგი გაეცნო ევროპას, შეისწავლა საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრება, კულტურა, მეცნიერება. ლექციებს ისმენდა სორბონის უნივერსიტეტში.

კიდევ უფრო განათლებული და დაბრძენებული მიხეილი სამი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ერთხანს კვლავ ჟურნალისტობას გაჰყვა. მალე იგი დაუპატიმრეს და მეტეხის ციხეში ერთ წელიწადს ამყოფეს, მერე კი საქართველოდან გააძევეს. რთული და აღმართ-დაღმართიანი იყო მისი ცხოვრების გზა.

1923 წლიდან მიხეილ ჯავახიშვილი მწერლობას უბრუნდება და განსაცვიფრებელი ნაყოფიერებითა და ოსტატობით აოცებს მკითხველ საზოგადოებას; ლიტერატურულ კრიტიკას. მისი რამდენიმე რომანი, ათეულობით მოთხრობა, ასობით პუბლიცისტური წერილი, რეცენზია და პოლემიკური სტატია ის განძია, რომლითაც მან მშობელი ხალხის კულტურა გაამდიდრა.

რომანები „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „გივი შადური“, „თეთრი საყელო“, „ჯაყოს ხიზნები“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“ — ჩვენი მწერლობის ოქროს ფონდში შევიდნენ. ამ რომანებში აისახა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ეპოქა, სხვადასხვა საკითხი და პრობლემა, მაგრამ მათი საერთო დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მწერალი ყოველთვის აქტიური პოზიციიდან, პროგრესული სულისკვეთებით გვიხატავს ქართველი ხალხის ბრძოლას პროგრესისათვის, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, უკეთესი ცხოვრების გამარჯვებისა და დამკვიდრებისათვის. მიხეილ ჯავახიშვილი ყოველთვის რჩებოდა მშობელი ხალხის ღვიძლ შვილად, მას „ერის წყლული აჩნდა წყლულად“, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე იტყოდა.

„ჩანჩურა“ და „კურკას ქორწილი“, „მეჩექმე გაბო“ და „ეკა“, „უპატრონო“ და „ჯილდო“, „ტყის კაცი“ და „მართალი აბდულა“, „ფინჯანი“ და „მიწის ყივილი“, „ლამბალო და ყაშა“... როგორი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, ყოველი მათგანი გამოირჩევა ჰუმანიზმით, პატრიოტიზმით, კაცური კაცობითა და წერის დახვეწილი მანერით, დიდოსტატობით.

ძნელია კაცმა აუღელვებლად წაიკითხოს მოთხრობა „მიწის ყივილი“, რომელშიც დახატულია ბედის მიერ უცხოეთში გადაბოლილი ქართველი კაცის — ანდრო კაიშაურის ცხოვრება. ეს კაცი დიდი ხნით მოხვდა უცხო მიწაზე — ჯერ რუსეთში და მერე საფრანგეთში. ცოლად შეირთო ფრანგი ქალი, ჰყავს შვილები, კარგად ცხოვრობს, მაგრამ მაინც რაღაც აწუხებს. მას დავიწყებია მშობლიური ქართული ენა, მის გულში ჩაფერფლილა სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. მაგრამ ნაღვლის ქვეშ ნაკვერჩხალი მაინც ბუგუნებს. და აი, როცა მოხუცი კაიშაური საფრანგეთში შემთხვევით შეხვდება სამშობლოდან ჩასულ ქართველ სტუდენტს, გამოელაპარაკება მას, „ვეფხისტყაოსანს“ წააკითხებს. მშობლიურ ქართულს მოასმენს, ყველაფერი შეისვე იცვლება: გულში გადანახულ სამშობლოს სიყვარულის მინაერულ ნაკვერჩხალს ნავლი გადაეფერება და ჯოკონად აჩიზგზდება. ამიერიდან ანდრო ერთ სურვილად გადაიქცევა: ერთხელ მაინც დაინახოს საქართველოს ფირუზისფერი ცა, ერთხელ მაინც ნახოს მშობლიური ანანური და მერე... მერე ჩემი ძვლები ქართულმა მიწამ მიიბაროსო.

„ნადირი სანადიროდ გავა, ფრინველი საკვებისათვის, ადამიანი საბრძოლველად და სამუშაოდ. მერე ყველანი ბრუნდებიან: მხეცი ისევ ბუნაგში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი კი ქოხს. მე კი წამოვედი და ველარ დავბრუნდი... მაინც რაც უნდა მოხდეს, მსურს დავბრუნდე და ჩემი უკანასკნელი მუდარაც, ერთადერთი ჯილდოც და ანდერძიც ეს არის: დამაბრუნეთ, წამიყვანეთ, მაჩვენეთ“... მოხუცი კაიშაურის ეს სიტყვები ფსიქოლოგიურად და მოქალაქეობრივად მართლად ჟღერს და გულის სიღრმიდან ამოდის.


ძნელია ამ მღელვარე განცდების ჯადოცემა. ეს მოთხრობა კაცმა თვითონ უნდა წაიკითხოს, რომ შეიგრძნოს მიხეილ ჯავახიშვილის ხელმის ძალა და მამაშვილური აღტყინება.

ასევე შეიძლება ითქვას მოთხრობა „ფინჯანზეც“, რომელშიც დახატულია უცხოეთში მყოფი ქართველი კაცის დაბრუნება სამშობლოში და მისი დიდი სურვილი, რომ თავისი გამოგონებით, რაც საქართველომი სათუთად მოაქვს, გაამდიდროს მშობლიური ქვეყანა.

მწერლის რომელ ნაწარმოებსაც უნდა შევეხოთ, ყოველი მათგანი იძლევა დიდი მხჟველობისა და აღფრთოვანების საფუძველს.

57 წლის ასაკში, 1937 წელს ტრაგიკულად შეწყდა მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლე. ბელეტრისტისათვის ეს ასაკი თითქმის ახალგაზრდულია. ამიტომ ბევრი განზარხვა და ჩანაფიქრი მან სამარეში ჩაიტანა. მაგრამ რისი შექმნაც მოასწრო, ისიც განადიდებს ამ სასიქადულო მწერლისა და მისი მშობელი ხალხის სახელს.

ტარიელ კვანჭილაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



განუზომლად დიდია აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის დამსახურება სამშობლოს წინაშე ქართული ხელოვნების მეცნიერული შესწავლის, მისი ეროვნული თავისებურების ჩვენების, საყოველთაო მნიშვნელობის და ისტორიული ადგილის დადგენის გამო.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია თავის მკითხველებთან ერთად გულმხურვალედ ულოცავს სახელოვან მამულიშვილს დაბადების 85 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნისა და ეროვნული კულტურის საკეთილდღეოდ.

მამულიშვილი და მოქალაქე

ალექსანდრე ჯავახიშვილი

მრავალითია. ქართული ხელოვნების კვლევას მან განსაკუთრებულ ვითარებაში მოჰკიდა ხელი. ნახევარი საუკუნის წინათ ქართული ხელოვნების ძეგლები უმთავრესად ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლებოდა, მრავალი ძეგლი საერთოდ არ იყო ცნობილი, არა მარტო არ არსებობდა ქართული ხელოვნების ისტორია, არამედ ქართული ხელოვნების ძეგლებისა და, საერთოდ, მისი არსის შესახებ მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული სრულიად მცდარი შეხედულებები, რაც ხელს უშლიდა და აბრკოლებდა როგორც ქართული, ისე მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის მხატვრული კულტურის განვითარების პროცესის სწორად გაგებას. ქართული ხელოვნების მეცნიერული ისტორიის შექმნა და ამასთანავე, ზემოხსენებული შეხედულებების დაძლევა ადვილი როდი აღმოჩნდა. საჭირო გახდა უზარმაზარი შრომის გაწევა, ყოველივეს თავიდან დაწყება და სწორი გეზის დასახვა. გიორგი ჩუბინაშვილმა აიღო ერთადერთი სწორი გზა — ფაქტების სისტემატური დაგროვება და პირუთვნელი გამოკვლევა, საკვანძო ძეგლებისა და საკითხების გამოყოფა და მათი მკაცრი მეცნიერული, ყოველმხრივი, მაგრამ პირველ რიგში ხელოვნების მცოდნეობითი ანალიზი და მიღებული შედეგების სინთეზი. აუცილებელი გახდა მეზობელი, კერძოდ, სომხეთის ხელოვნების ძეგლების გამოკვლევა, რასაც გიორგი ჩუბინაშვილმა დიდი ამაგი დასდო.

გიორგი ჩუბინაშვილს არასოდეს გადაუწყვეტია ერთხელ არჩეული გზიდან. პირადი მაგალითით ის ნერგავს და განამტკიცებს თავის თანამშრომელთა და მოწაფეთა შორის იმის შეგნებას, რომ ჭეშმარიტების მიღწევის ერთადერთი საშუალებაა თავდაუზოგავი შრომა, საქმის გულმხურვალე სიყვარული, მეცნიერული კეთილსინდისიერება და პირუთვნელობა.

გიორგი ჩუბინაშვილის მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივია და ყოველივეს აღნუსხვაც კი აქ შეუძლებელია. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა აღრიცხვა-დაცვის, შეკრების, მეცნიერული პროპაგანდისა და საშუზეშო საქმის განვითარებაში; ხელოვანთა და ხელოვნებისმცოდნეთა მომზადებაში და ჩვენი ქვეყნის ხელოვნების აღორძინებაში. წლების მანძილზე მუშაობდა ის საქართველოს მუზეუმში როგორც დირექტორის მოადგილე და არქეოლოგია-ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე; ხელოვნების მუზეუმში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში როგორც მისი პირველი რექტორი და პროფესორი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მან, მის მიერვე დაარსებულ ხელოვნების ისტორიის კათედრასთან შექმნა ჯერ ხელოვნების ისტორიის კაბინეტი, ხოლო შემდეგ — ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, რითაც, არსებითად, საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების მუზეუმს. ამ დიდი შრომით გიორგი ჩუბინაშვილმა ყველა პირობა შექმნა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის — სპეციალური სამეცნიერო დაწესებულების ჩამოყალიბებისათვის, რომელსაც დაარსების დღიდან ხელმძღვანელობს.

გიორგი ჩუბინაშვილი დღესაც მეტად უდგას სათავეში მის მიერ წამოწყებულ და ასე ბრწყინვალედ განხორციელებულ საქმეს, რომელსაც ახლა დიდი სამეცნიერო კერის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ემსახურება.

ახალი წიგნები

რუსთაველის კაბინეტში

წელსულს „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პროფესორ იოსებ მეგრელიძის წიგნი „რუსთველოლოგები“. მასში თავმოყრილი და დახასიათებულია რუსთაველის ბიოგრაფიის, შემოქმედებისა და ძველი ქართული კულტურის 45 მკვლევარი და პოპულარიზატორი.

ამას წინათ ხსენებული წიგნი თავის მორიგ სხდომაზე განიხილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტმა. მოხსენებით გამოვიდნენ პროფესორები ტრიფონ რუხაძე და ლევან მენაბდე.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს წიგნის დადებითი მხარეები. მთლიანად აღებულმა ნაშრომმა მოწონება დაიმსახურა. ამასთან, ავტორს მიუთითეს წიგნის რიგ ნაკლოვანებასა და უზუსტობაზე, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მისი შემდგომი გამოცემისათვის.

საპასუხო სიტყვაში იოსებ მეგრელიძემ ვრცლად ილაპარაკა საცილობელ საკითხებზე, ზოგი მათგანი განმარტა და ზოგიც მადლობით შეიწყნარა.

განხილვის შედეგები შეაჯამა სხდომის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ.

„ვეფხის ქრებულის“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტთან მოქმედებს „ვაჟაფშაველას მუდმივი სემინარი“. მისი მიზანია დიდი პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლა. კაბინეტმა მრავალი საინტერესო ნაშრომი გამოსცა. ამჟერად უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ვაჟაფშაველას მუდმივი სემინარის შრომების პირველი ტომი — „ვაჟას კრებული“.

კრებულში დაბეჭდილია წერილები დერჟავინისეული, ივნისისეული, სერებრიაკოვისეული, ზაბოლოცკისეული და სპასკისეული თარგმანების შესახებ. ქვეყნდება აგრეთვე ვაჟას სამი ნაწარმოები, რომლებიც გამორჩენილია მისი თხზულებების სრულ კრებულში.

გოგოჭარ დღეთა გამოძახილი

ფიქრი პოლონელ მეგობრებზე

მმ ერთი იმათგანი ვარ, ვისაც სამამულო ომის ჭარცეცხლმა ზურგზე გადაუარა. განვლილ დღეთა საშინელება მოგონებადღა შემრჩა. სატკივარი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა, სამაგიეროდ, ნათელ სხივებად კიაფობს გულში შეხვედრები ნამდვილ ადამიანებთან, მტრისა და მოყვარის გარჩევა რომ შეეძლოთ, ჩვენს თავგანწირვას თავგანწირვითვე რომ პასუხობდნენ.

ძველ მილოსანის ტყვეთა ბანაკში, რომელიც ვარშავიდან 18 კილომეტრით იყო დაშორებული, ჩემთან ერთად რამდენიმე ქართველიც იყო. ვეძებდით მეკავშირეს, რომელიც „გარე სამყაროსთან“ დაგვაკავშირებდა. და აი ასეთი კაციც გამოჩნდა — ეს შენ იყავი, სოფელ ზბუინო-გურაშის მკვიდრო, ჩვენო კეთილო მეგობარო ბორის ტშასკა. ბანაკიდან გამოპარული შინ მიმიყვანე, გამაცანი მეულლე, ძმად გაფიცულს გულღია მასპინძლობა გამიწიე. 1944 წლის დამლევს თუ 1945 წლის დამდეგს შენ კიდევ ორი ქართველი — იოსებ წერეთელი და შალვა შათირიშვილი შეიფარე. ფაშისტების ტყვეობიდან გაქცეულები შენთან ჩემი ბარათით მოვიდნენ და ისინიც ღვიძლი ძმებივით მიიღე. ეს კი თავგანწირვაზე მეტი იყო. რომ გაეგოთ, საბჭოთა ტყვეების შეხიზნისათვის, მარტო შენ კი არა, მთელ შენს ოჯახს ამოწყვეტდნენ.

გავიდა წლები. ერთმანეთისა აღარაფერი ვიცით, ჩვენ, შენი მეგობარი ქართველები, ხშირად გიგონებთ. მე და შალვა თბილისში ვცხოვრობთ, იოსები — ცხინვალში.

ძვირფასო მეგობარო, გიგონებ და შენს ყველაზე დიდ სატკივარზე მინდა გკითხო — როგორ არის შენი ქალ-ვაჟი, ფაშისტებს ვარშავაში რომ უმალავდი. ვარშავის აჯანყებისა და მისი ტრაგედიის შემდეგ რა ბედი გეწიათ? გადარჩით? გულით მწყურია თქვენი სიკეთის ამბის გაგება...

...1944 წლის თებერვლის სუსხიანი ღამე. ქალაქ მინსკ-მაზოვეცკთან ორიოდე კილომეტრით დაშორებულ ტყვეთა ბანაკიდან გაქცეული ხუთი ქართველი კომუნისტი ზიგმუნდის (გვარი არ მახსოვს) ოჯახმა შეგვიფარა. ოჯახის თავკაცმა „ბიატოვა“ მეულლე, ჩვიდმე ბავშვი და ჩვენთან ერთად პარტიზანებისაკენ გასწია. სამწუხაროდ, ყველანი ფაშისტების ხელში აღმოვჩნდით. მოხდა სასწაული — აგვცდა ეშაფოტი. შენც გადაურჩი მტერს. მაგრამ რა ბედი გეწია შემდგომ, ძვირფასო ზიგმუნდ?

გახსოვს, სურათი და მისამართი დაგიტოვე. გთხოვე, თუ სიკვდილი მეწერა, ჩემი დაღუპვა ოჯახისათვის გეცნობებინა.

ის ჩემი ოთხივე მეგობარი — აბო მიქაბერიძე, არჩილ გოგოლაშვილი, ირაკლი უნდილაშვილი, რამან ჩირინაშვილი, იმ ავბედით დღეებს გადაურჩნენ და თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ. ჩვენ ახლა შენი ამბავი გვაინტერესებს. დიდი სურვილი გვაქვს პატრიოტი ქალის მარია სიჩუკის ბედიც შევიტყოთ, 1944 წლის 5 მარტს ვარშავიდან ხუტა-მინსკში ჩამოსულმა ტყვეობიდან გაქცეულები ფარულად გამართულ თათბირს რომ დაგვასწრო და დაგვპირდა: თუ ვარშავაში მოხვდებით, თავშესაფარს მოგცემთ, არალეგალურ ორგანიზაციასთან დაგაკავშირებთო. მისი მისამართი ასეთი იყო: ვარშავა, ვილჩა, № 63 სახლი, № 1 ოთახი.

თუ ჩემი ხმა თქვენამდე მოაღწევს, ჩემო პოლონელო მეგობრებო, მიპასუხეთ, თქვენი ნათელი ხსოვნა ყოველთვის თან მდევს.

შალვა გოზალიშვილი,
პროფესორი
თბილისი, ბაქრაძის ქუჩა № 11.

მორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებში მთელ საფრანგეთს გასწვდა ერთი ქართველი კაცის სახელი. მტერიც ბევრი ჰყავდა და მოკეთეც პარტიზანების მამაც მეთაურს. ფაშისტები ოქროს ჰპირდებოდნენ მის მკვლელს, გენერალი დე გოლი კი უბადლო ვაჟკაცობისათვის ყველა ფრანგის სახელით უხდიდა მადლობას.

...ახლა საჩხერის ღვინის ქარხანაში მუშაობს ინჟინრად ეს კაცი.

—ბავშვობიდანვე მშენებლის პროფესიაზე ვოცნებობდი, — მეუბნება ოთარ იშხნელი, — ჩიტის ბუდე რა არის, ჩიტის ბუდეც, ისიც არ დამინგრევია. მაგრამ სამშობლოს ასაწიოკებლად მოსულთ მეც იარაღით შევეგებე, თავგამოდებით ვებრძოდით ერთმანეთის მხარდამხარ რუსები, ქართველები, ფრანგები, პოლონელები. ვიბრძოდით და აკი გავიმარჯვეთ კიდეც...

ოთარ იშხნელი ომში პირველსავე დღეს ჩაება. ქალაქ ბროდში განლაგებულ ტანკსაწინააღმდეგო დივიზიის ახალგაზრდა ოფიცერს, ოცი წელი ორი დღის წინათ რომ შეუსრულდა, სიმხნევე ერთი წუთითაც არ დაუკარგავს. სჯეროდა, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, მტერი დამარცხდებოდა. უკან დახევა გულს სტკენდა, თუმცა რწმენას არ უკარგავდა.

ხარკოვთან, მძიმედ დაჭრილი, ფაშისტების ხელში აღმოჩნდა. სამ თვეს მკურნალობდნენ — საბჭოთა ოფიცერი ცოცხალი სჭირდებოდათ. ფეხზე რომ დადგა, პოლტავის მიმართულებით მიმავალ ტყვეთა ეშელონს გააყოლეს. გზიდან გაიქცა. რამდენსამე დღეს იარა ტყე-ტყე. ისევ შეიპყრეს. ეგონა, ახლა კი დადგა ჩემი აღსასრულის დღეო, მაგრამ ვიდრე განაჩენს გამოუტანდნენ, კვლავ შეძლო გაქცევა. ამჯერადაც ვერ შეინახა დიდხანს თავი, ვერ მიაგნო პარტიზანების ადგილსამყოფელს. ძალ-ღონეგამოლეული რუმინელმა პატრულებმა შეიპყრეს და ხაროლის ტყვეთა ბანაკში გაგზავნეს. აქ მის გარდა კიდევ იყვნენ ქართველები. ბანაკში ჩამოყალიბებულ არალეგალურ ორგანიზაციას სათავეში ქართველი კაცი ალექსანდრე ვაჩეიშვილი ჩაუდგა. გადაწყდა — ორგანიზებულად მოეხდინათ გაქცევა.

გადიოდა დღეები. ფაშისტებმა თითქოს იგრძნეს, ტყვეები რაღაცას აპირებენო და ბანაკის ბინადარნი ნაწილ-ნაწილ სხვადასხვა მხარეს გაუყენეს. ქართველ ტყვეთა ერთი ნაწილი, რომელშიც ოთარიც ერია, ჯერ უნგრეთში მოხვდა, შემდეგ კი — საფრანგეთის ქალაქ კარმოში. აქ ორგანიზაციის ჩამოყალიბება და ტყვეთა აჯანყების საქმე თვითონ იდო თავს. ეძებდა კაცს, რომლის საშუალებითაც საფრანგეთის წინააღმდეგობის მონაწილეებს დაუკავშირდებოდა. ასეთიც



შენი გმირობის ამბავი

მალე გამოჩნდა. ეს იყო ტარნ-ავეირონის დეპარტამენტის წინააღმდეგობის შტაბის უფროსი ედმონდი. გადაწყდა—ტულუზის მაღაროებში მომუშავე ტყვეები დანიშნულ დღეს აჯანყდებოდნენ, განაიარაღებდნენ მცველებს და ტყეში გადვიდოდნენ.

1944 წლის 4 აგვისტო. აჯანყებულები თავს ესხმიან გერმანელებს. ყველაფერი ძალზე სწრაფად, რომ იტყვიან, თვალის დახამხამებაში ხდება. ვიდრე მტერი გონს მოვიდოდა, 100 ქართველმა შეძლო სამშვიდობოს გასვლა. თან 35 გერმანელი ტყვე და დიდძალი იარაღი გაიყოლიეს. აჯანყებულებს სოფელ ბურგუნიაკში იმ მხარის პარტიზანთა კომისარი ფერნანდი შეხვდა. აქედან უუკოვილს მიაშურეს, ცოტა სული მოითქვეს და მტერთან შეხვედრის თადარიგს შეუდგნენ. ალექსანდრე კალანდაძე, ვანო დინგაშვილი, ჰეჰეკო სიხარულიძე, გიორგი ბიჭკაძე, ვახტანგ სეხნიაშვილი სათავეში ჩაუდგნენ ოცეულებს. მათი დაყენებული თხოვნით რაზმის ხელმძღვანელობა ოთარ იშხნელს დაევალა. მტერმა სულ მალე პარტიზანთა დასარბევად დამსჯელი რაზმი გაგზავნა. უთანასწორო ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, პარტიზანთა ერთი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. სხვებმა კვლავ ტყეს შეაფარეს თავი...

— მალე ვიძიეთ შური — იგონებს ოთარ იშხნელი,— ფაშისტებს არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ ვაძლევდით. რაზში ყოველდღე ივსებოდა ტყვეთა ბანაკიდან გამოქცეულებით. ქართველ პარტიზანებს უერთდებოდნენ ფრანგები, პოლონელები, ესპანელები... 1944 წლის 15 აგვისტოს, საფრანგეთში საყოველთაო აჯანყების დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე, რაზმში 1.500 კაცი ითვლებოდა. პარტიზანებს ქალაქ კარმოს განთავისუფლება დაევალათ. 1.500 კაცისათვის ქალაქის ხელში ჩაგდება, რომელსაც ათასობით კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტი იცავდა, გმირობაზე მეტი იყო და პარტიზანებმაც, თავგანწირვის ფასად მეტის გაკეთებაც შეძლეს — მათ შეტევას მტერმა ვერ გაუძლო და უკუიქცა.

შემდეგ „მაკ უორყიენის“ რაზმმა (როგორც ოთარ იშხნელსა და მის თანამებრძოლებს საფრანგეთში უწოდებდნენ) ქალაქი ალბიც გაათავისუფლა.

სექტემბრის პირველი ნახევრისათვის ოთარ იშხნელის რაზმში უკვე 3 ათასი კაცი ირიცხება და იგი პირველ საბჭოთა პარტიზანულ პოლკად იწოდება. ბრძოლები გრძელდება. პოლკი გამარჯვების მარშით, საკუთარი დროშის ფრიალით შედის ქალაქებში: გაიკაში, კასტრში, ტულუზაში. პოლკის გმირობის ამბავს გაზეთი „პრავდა“ მთელ მსოფლიოს აცნობს.

ტულუზის გარნიზონის უფროსი ოთარ იშხნელი პატაკს აბარებს გენერალ დე გოლს, გენერალი კი საპასუხოდ მთელი ფრანგი ხალხის სახელით მადლობას უხდის. იწყება სამხედრო პარადი. გენერლის წინ მწყობრი ნაბიჯებით მიდიან ფრანგი ჯარისკაცები. გაისმის ქართული ჰანგები და ტრიბუნას საკუთარი ორკესტრით უახლოვდება პირველი საბჭოთა პოლკი. დე გოლი ესალმება მამაც პარტიზანებს, ხოლო მის გვერდით მდგომ ოთარ იშხნელს, საფრანგეთის ორდენების „პარტიზანული ორდენისა“ და „მამაცობის ორდენის“ კავალერს, მკერდზე კიდევ ერთ ორდენს— „სამხედრო ჯვარს ვერცხლის ვარსკვლავით“ აბნევს. ჩვენი თანამემამულე საფრანგეთის უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკად იწოდება...

ოთარმა და მისმა მეგობრებმა ღირსეულად გააცნეს საფრანგეთს ქართველი კაცი, რომლის ბუნებას აკვნიდანვე შესისხლხორცებია დიდი შოთას სიტყვები — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“...

რევაზ მაჭავარიანი

ოქროს ცვარნამონაწვეთი

„თქვენს ღვინოში ჩაქსოვილია ქართველი ხალხის ჯადოსნური თვისების სამი შესანიშნავი ღირსება: სიმაგრე, სინაზე, სიმტკიცე“.

მიხეილ ზოლოტოვი.

ვაზი წინანდლისა!

საქართველოს ღვინოთა მეფე აქ იბადება, წინანდალში. აქ იბადება მზესავით ჩახჩახა ღვინო „წინანდალი“, ის ღვინო, რომლის წინაპარს ჯერ კიდევ 1890 წელს ჩიკაგოს საერთაშორისო გამოფენაზე დიდი მოწონება და უმაღლესი შეფასება ხვდომია წილად.

მაშინ კი იცოდნენ, სად იყო წინანდალი?!

წინანდალი — ჯახვითის თვალი და გული, ცივგომბორის ჯალთას ამოზიდული, ვაზისა და ღვინის სოფელი, სიყვარულისა და მეგობრობის წმინდა სასუფეველი.

ცამდეაზიდული ჯიპაროსები და თეთრად გადაპენტილი მაგნოლიები, ჯავასიის კედრები და იაპონური მარად მწვანე მუხები, ულამაზესი ნაძვები და მწვანედ დაფენილი ხალიჩა, წინანდლის გიდები და ფარშევანგები...

ეს მამულები ერეკლე მეორემ სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ჰავჰავაძიანთ გვარს უბოძა. აქ იკრიბებოდნენ ჰეშმარიტი ქართველები, რუსეთისა და ევროპის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები.

ალექსანდრე ჰავჰავაძის სალონი, მისი თვალწარმტაცი ბაღი, წინანდლის დიდებული ღვინო და პოეტის ტურფა, მომხიბვლელი ასულები ვის არ დაატყვევებდა?!

აქ მსჯელობდნენ ერის ტკივილზე, მამულის აწმყოსა და მყოფადზე. აქ დაიწერეს ჯვარი ნინომ და გრიბოედოვმა, აქ დაირწა ქართველი და რუსი ხალხის ერთად ყოფნის აკვანი.

ახალმა საქართველომ, საბჭოთა საქართველომ მიხედა დიდი ქართველი პოეტის ოჯახისეულ მემკვიდრეობას და საკადრისი პატივი დასდო.

ახლა ეს ბინა მუზეუმად აწყობილი. ჰავჰავაძისეული მარნის ნაფუძარზე კი დღეს საქვეყნოდ სახელგანთქმული ღვინო „წინანდალი“ მზადდება.

ბაღის გაგრძელება ქარხნის ტერიტორიაა, თავისი სარდაფებითა და ახალი კორპუსებით. ძველი და ახალი ლამაზად შერწყმია ერთმანეთს.

მიწისქვეშა სართული მამაპაპისგულ ყაიდაზეა მოწყობილი.

ჭერამდე ასულა მუხის ვეება კასრები.

თითოეულს თავისი „პასპორტი“ აქვს — ღვინის „ვინაობა“, დაბადების წელი, კასრის ტევადობა, დატვირთვის თარიღი...

აქ ძველდება ღვინო. ამავე სართულზეა ღვინის ბიბლიოთეკაც.

საქართველოს, საფრანგეთის, გერმანიისა და რამდენი ქვეყნის ღვინოთა ნიმუშებს არ შეხვდებით აქ: „პოლონეთის თაფლი“ — 1812 წელი, „მუსკატი“ — 1874 წელი, „შატო-იკემ“ — 1861 წელი, „ხერეს პოლტბერი“ — 1854 წელი, „ვინდე კონსტანცია“ — 1846 წელი, 1887-88-89 წლების „ნაფარეულის საფერავი“, 1883 წლის „ნაფარეულის რქაწითელი“, 1883 წლის „წინანდალი“...

ჟამი გარედან არეკლილა ბოთლებზე, შიგნით კი ისევ ის ღვინოა, ათეული წლების მიღმა დაბადებული. დანარჩენი სართულები თანამედროვე სამამულო ტექნიკით არის აღჭურვილი, სადეპარი, საგალიზაციო, საკუპაჟე განყოფილებები.

იზრდება ქარხანა, ემატება ახალი კორპუსები.

ამჟამად სარდაფის საერთო ფართობი 16 ჰექტარს აღწევს, 1 მილიონ 400.000 დეკალიტრ ღვინოს იტევს შიგნით, ქარხნის წლიური ბრუნვა კი 1 მილიონ 900.000-ია.

ამბობენ, აქ იმდენი ღვინოა, მთელ მსოფლიოს 10 სანტიმეტრი რადიუსით 3-ჯერ შემოეკვლება გარსო!

წინანდლის ღვინის ქარხანა ერთერთი უძველესი საწარმოა საქართველოში. აქ მუშაობდა წინანდლის, ნაფარეულის, ახმეტის, ყვარლის ზვრებიდან მოსული რქაწითელი, მწვანე, კაბერნე.

მოედინება მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინო წინანდალი, ნაფარეული, ბახტრიონი, ორდინარული ღვინო — საერო.

სამარკო ღვინოებს ევროპული წესით ამზადებენ, ესე იგი სამწლიანი დაძველებით. მხოლოდ მეოთხე წელიწადს აძლევენ ღვინოს საგზურს სარეალიზაციოდ. მასზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენთან თუ საზღვარგარეთ — პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში...

ჩამოდის ქარვისფერი „წინანდალი“ — ოთხგზის ოქროს კავალერი, მრავალგზის ვერცხლისმედალოსანი ღვინო და მიდის გამოფენებზე თბილისში, მოსკოვში, ლუბლიანაში, სოფიაში, ბრატისლავაში, ბუქარესტში, ბუდაპეშტში...

იღება ჰიშარი. დგანან თეთრხალათიანი მეღვინეები, მუშა-მოსამსახურეები და გზას ულოცავენ დიდ გზაზე მიმავალ ქართულ ღვინოს, რომელსაც შორს მიაქვს სოციალისტური შრომის გმირის არჩილ უთიაშვილის, ნასყიდა ვეფხიშვილის, ირაკლი მეგრელიშვილის, მალუკა მეგუთნიშვილის, მიხა ბეჭუაშვილის, გიორგი მამალაშვილის, ოლია რამაზაშვილის, ეკატერინე თანდაშვილის, შოთა გიორგობიანის, ამურ ძამუკაშვილის, უჩა შავერდაშვილის კაიკაცობის ამბავი. „წინანდლის“ ლოცვა ქართველი მეღვინისა და მეგვინახის მარჯვენის ლოცვა და ქებათა-ქებაა.

ნაზი შამანაური,
წინანდალი.

სპორტი

სპორტული ქრონიკა

● პირველ დეკემბერს იუგოსლავიის მაღალმთიან ადგილ ვრნიაჩკა-ბანიაში დაიწყება ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ჰადრაკში. შარშან ეს სპატიო ჯილდო ნონა გაფრინდაშვილმა მოიპოვა. წლეულს მსოფლიოს ჩემპიონი იუგოსლავიაში ვერ გაემგზავრება. ამის მიზეზი მისი პირმშო — პატარა დათო გახლავთ. ვრნიაჩკა-ბანიაში საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ღირსებას ნანა ალექსანდრია დაიცავს.

● სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ჩაება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. პირველ მატჩში მათ ანგარიშით 3:1 დაამარცხეს კვიპროსის ნაკრები. ჩვენი ქვეყნის ღირსებას სხვებთან ერთად თბილისელი გივი ნოდიაც იცავდა.

● დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში „ბ“ კლასის II ზონის I ჯგუფში. გაგაცნობთ საქართველოს გუნდების მიღწევებს: ტყიბულის „მეშახტე“ — მე-2 ადგილი, 45 ქულა; რუსთავის „მეტალურგი“ — მე-4 ადგილი, 43 ქულა; ლანჩხუთის „გურია“ — მე-5 ადგილი, 41 ქულა; მახარაძის „მერცხალი“ — მე-6 ადგილი, 41 ქულა.

● ქართულ ჰიდაობას თბილისში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ამიტომ იყო, რომ შეჯიბრებამ, რომელსაც დედაქალაქის აბსოლუტური ჩემპიონი უნდა გამოევლინებინა, დიდი ინტერესი გამოიწვია. მასში 19 მონაწილე ჩაება, უძლიერესის სახელი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ანზორ მარგველიანმა მოიპოვა.

ახლა საქართველოს უძლიერესი ფალავნები გულმოდგინედ ემზადებიან რესპუბლიკის აბსოლუტური პირველობისათვის, რომელიც 4-5 დეკემბერს მოეწყობა თბილისის სპორტის სასახლეში.


● **ბარნაულში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება აკრობატიკაში. საქართველოს აკრობატებმა ოცწლიანი „შესვენების“ შემდეგ მიაღწიეს გამარჯვებას და ჯგუფურ შეჯიბრებაში თასი დაისაკუთრეს.**

● თბილისში სტუმრად იყო ერაყის კალათბურთელ ქალთა გუნდი. სტუმრებმა ორი მატჩი გამართეს ადგილობრივ კოლეჭტივებთან. თავდაპირველად ერაყელებს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები მასპინძლობდნენ. ეს შესვედრა დაძაბული გამოდგა და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ნახევარი სტუმრებმა მოიგეს 41:39. საბოლოოდ შესვედრის ბედი ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა: ანგარიშით 80:79 გაიმარჯვეს ქართველმა სტუდენტებმა.

სტუმრების მეორე მეტოქე „სინათლე“ (ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო) გახლდათ. ამჯერად თბილისელებმა მატჩი უფრო დამაჯერებლად წარმართეს და მოიგეს ანგარიშით 74:69.


● დამთავრდა აჭარის მეხუთე სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. პირველ ადგილზე გამოვიდნენ ბათუმელები, რომლებმაც 381 ქულა შეაგროვეს.

სპარტაკიადაზე თავი გამოიჩინეს მოცურავეებმა, ძალოსნებმა, ხელბურთელებმა, ფრენბურთელებმა.










ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ალექსანდრე სარიშვილი „სამშობლოს“ მკითხველებს სთავაზობს ალექსანდრე მეტრეველის ერთი თბილისური დღის რეპორტაჟს; ზემოდან — ვარჯიშზე გამგზავრების წინ; ჩოგანი № 1; ვარჯიშიდან თემურაზ კაკულიასთან ერთად; შინ; რა სჯობია პატარა ირაკლისთან და მეუღლესთან ყოფნას.



ჩოგბურთელი № 1

საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონია. ორჯერ ითამაშა უიმბლდონის ტურნირის ფინალში. ატარებს აზიის, ინდოეთის, სკანდინავიის ქვეყნებისა და ევროპის ჩემპიონის ტიტულს. დაუმარცხებია ისეთი სახელგანთქმული ჩოგბურთელები, როგორიც არიან ავსტრალიელი ტონი როჩი, ამერიკელი პანჩო გონზალესი, ესპანელი მანუელ სანტანა.

ჩვენი ქვეყნის სპორტული მიმომხილველები ახლა მასზე წერენ: — ჩვენ მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი გვყავს — მეტრეველი, მხოლოდ მას ძალუძს შეებრძოლოს, როგორც თანატოლი, მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებსო. და ისიც იბრძვის, იბრძვის თავგამოდებით და ძალზე ხშირად მთელი გუნდის გასაკეთებელს მარტო აკეთებს. ვინც წლეულს დევისის თასზე საბჭოთა ჩოგბურთელების გამოსვლას ადევნებდა თვალყურს, დამეთანხმება, რომ მეტრეველმა შეუძლებელი შეძლო, — ყველა შეხვედრა მოიგო. მის პარტნიორებს მეტი ფხა რომ გამოეჩინათ, ვინ იცის, ყველა ქვეყნის ჩოგბურთელისათვის ოცნებად ქცეული დევისის თასი სწორედ ჩვენებს ბინასო...

მასთან შეხვედრა და საუბარი ძალზე ძნელია. იმიტომ კი არა, რომ ჯარჩაკეტილი და უკარებაა, პირიქით. მაგრამ თავისუფალი დრო თითქმის არა აქვს. ყოველდღიური წვრთნა, შეჯიბრება, სწავლა, ოჯახი და მოგზაურობა. მოგზაურობა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ერთი კონტინენტიდან მეორეზე. მარტო წლეულს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ალექსანდრემ 177 დღე გაატარა. სად იყო? ინდოეთში, ევიპტეში, იტალიაში, უნგრეთში, საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მონაკოში... ახლაც, როგორც იტყვიან, გზას გაჰყურებს — სულ მალე შორეული ავსტრალიის ღია ჩემპიონატში ჩაებმება...

და მაინც ალექსანდრე მეტრეველთან შეხვედრა მოხერხდა. მას მთელი დღე ფეხდაფეხ დაჰყვებოდა ჩვენი ფოტორეპორტიორი. „მეტრეველის ერთი თბილისური დღე“ — ასე უწოდა ფოტორეპორტაჟს ავტორმა. ქვეყნის № 1 ჩოგბურთელი რედაქციაშიც გვეწვია და სიამოვნებით გასცა პასუხი ჩვენს შეკითხვებს:

● **როგორ გახდით ჩოგბურთელი?**

— შემთხვევით. ჩემი უფროსი ძმა და ჩვენი ეზოს ბიჭები დადიოდნენ ჩოგბურთზე, მე თავდაპირველად მხოლოდ მეგზურის როლში გამოვდიოდი. შემდეგ კი ტრიბუნებზე უქმად ჯდომას ჩოგნის ხელში აღება ვარჩიე...

● **ოქროს რამდენი მედალი ინახება თქვენს კოლექციაში?**

— ჩვიდმეტი. აქედან 12 საბჭოთა კავშირის კორტებზეა მოპოვებული, დანარჩენი ხუთი კი უცხოეთის ქვეყნებიდან ჩამოვიტანე.

● **რა მიგაჩნიათ სპორტსმენის მთავარ ღირსებად?**

— პატიოსანი ბრძოლა. დიდი სპორტის დროულად დატოვება.

● **რას გააკეთებთ, როდესაც აღარ გამოხვალთ კორტებზე?**

ჩოგბურთს ძალზე ბევრი შევწირე და მას ველარასოდეს გავეყრები, — მწვრთნელი გავხდები.

● **თქვენ სპეციალობით ჟურნალისტი ხართ, ნუთუ არ ისურვებთ რომელსამე რედაქციაში მუშაობას?**

— იმის თქმა, რომ სპეციალობით ჟურნალისტი ვარ, კორექტივს მოითხოვს, ხშირმა მოგზაურობამ და მოუცლელობამ სტუდენტობა გამიგრძელა. ამჟამად თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი ვარ მხოლოდ და მაინც ჩემს სპეციალობას ნანახისა და განცდილის აღსაწერად გამოვიყენებ. გამოგიტყდებით, მალე გამოვა ჩემი პირველი წიგნი, რომელშიც მკითხველს ჩემი და ჩემი მეგობრების სპორტულ ცხოვრებას მოვუთხრობ.

● **დაასახელეთ მსოფლიოს სამი საუკეთესო ჩოგბურთელი.**

— როდ ლეივერი, კენ როზუოლი და ტონი როჩი.

● **ჩოგბურთის გარდა, სპორტის რომელ სახეობას სცემთ პატივს?**

— ფეხბურთს.

● **თქვენი საყვარელი ფეხბურთელები.**

— პელე, მესხი, და ჩემი შორეული ნათესავი სლავა მეტრეველი.

● **თქვენი გატაცება?**

— მუსიკა. კლასიკური, თანამედროვე.

● **საზღვარგარეთ მოგზაურობისას თუ ხვდებით იქაურ ქართველებს?**

— ძალზე ხშირად. უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები მუდამ ჩემი გულშემატკივარნი არიან. მათი მხარდაჭერა სიმხნევეს მმატებს.

● **როგორ სძლევთ მოწყენილობას, ხანგრძლივი მოგზაურობისას რომ ეუფლება ხოლმე ადამიანს?**

— ადრე მასთან ბრძოლა უფრო ადვილი იყო. ახლა კი, როდესაც დავოჯახდი და ვაჟის მამა გავხდი, სახლიდან წასვლა მიჭირს. მეუღლე ხშირად მოგზაურობს ჩემთან ერთად — წლეულს ამერიკაში ერთად ვიყავით. მაგრამ პატარა ირაკლის ბებიები ასე შორს არ გვაწდობენ.

● **და, ბოლო, ერთი შეკითხვაც: რამდენ წლამდის აპირებთ კიდევ ჩოგბურთის თამაშს?**

— 5-6 წელიწადს მაინც...





მასწავლებლის ხსოვნას

პროფესორ ვერა ბარდაველიძის გარდაცვალების გამო

არ მეგონა, საქართველოში ჩემი ყოფნის პირველი წელიწადი ასეთი სამწუხარო ფაქტით აღინიშნებოდა — ხელიდან გამომეცლებოდა ძვირფასი მეცნიერული ხელმძღვანელი, პროფესორი ვერა ბარდაველიძე. მთელი წელიწადი მისი ზრუნვა და ყურადღება არ მომკლებია. ჩემი ხელმძღვანელები — ქალბატონი ვერა და მისი მეუღლე აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მე, ინგლისიდან ჩამოსულ ქართველ ქალს, თავი შინაურულად მეგრძნო და ის ცოდნა შემეძინა, რისთვისაც აქ ვიმყოფები. ეთნოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლები და ამ სკოლის შემქმნელები საქართველოში, არა მარტო დიდი მეცნიერები, საუცხოო ადამიანებიც აღმოჩნდნენ. მე განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი გავიმსჭვალე ქართველთა უძველესი რელიგიის დიდი მკვლევარის, აკადემიკოს ნიკო მარის ერთადერთი ასპირანტი ქალის, ქალბატონ ვერას მიმართ, რომლის გამოკვლევები სამაგიდო წიგნია ამ დარგში მომუშავე მსოფლიოს ყველა სპეციალისტისათვის.

ვერა ბარდაველიძე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 71 წლის ასაკში. გარდაიცვალა და დიდი გულისტკივილი მიაყენა მის ახლობლებს, კოლეგებს, მოწაფეებს. დედასავით ტკბილი და საყვარელი, ახლობელი, მშობლიური, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ზრუნავდა ჩემზე. სწორედ გარდაცვალების დღეს უკითხავს, როგორ წავიკითხე მოხსენება, რა წარმატება მქონდა. ახარებდა ჩემი მიღწევები, უნდოდა, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიმეღო მისგან.

ვერა ბარდაველიძე იყო ისეთი პიროვნება, რომელიც მუდამ მისაბაძი იქნება სხვებისათვის. პირადად მე კი, თუ ცხოვრებაში რაიმე კარგს მივაღწევ როგორც მეცნიერი, ვერა ბარდაველიძის სიკეთესა და მონდომებას დავუმადლებ.

თამარ დრაგაძე

გაზეთ „სამშობლოს" რედაქციას

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მომაძებნინოთ ჩემი ძმა — მელიტონ ხოსიას ძე დვალიძე. იგი დაიბადა 1880 წელს ონის რაიონის სოფელ ბაჯიხევში. ახალგაზრდობაში მუშაობდა ბაქოში ერთ-ერთ რესტორანში, ბინად კი იდგა ერთ ფრანგ ქალთან, რომელსაც ჩემი ძმის თანატოლი ვაჟიშვილი ჰყავდა. ამ ქალმა თავისი ვაჟი და ჩემი ძმა საზღვარგარეთ, თავის სახლობასთან გაგზავნა სტუმრად. ეს იყო დაახლოებით 1915-16 წლებში. მერე დაიწყო რევოლუცია და მელიტონმა ვეღარ მოახერხა აქეთ წამოსვლა, ლონდონში დარჩა. იქიდან მწერდა — კარგად ვარ, სამშობლოში წამოსვლა მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ — გზები დაკეტილიაო. შემდეგ კი უგზოუკვლოდ დამეკარგა, მისი ვეღარა გავიგე რა.

გთხოვთ, თუ შეიძლება, თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი და მისი სურათი, რომელიც გადაღებულია ბაქოში ყოფნისას.



იქნებ ჩემი ძმა ახლა აღარც არის ცოცხალი, მაგრამ ხომ შეიძლება რომ შვილები, შვილიშვილები ჰყავდეს და თქვენი გაზეთის საშუალებით მივაწვდინო ხმა. ლოდინში თმა გამითეთრდა, უკვე 75 წელს მივაღწიე, ვარ კოლმეურნეობის დამსახურებული წევრი, მყავს შვილები, შვილიშვილები და სიძეები. ამით კი ვარ ბედნიერი, მაგრამ ძმის მოლოდინში გული გამელია, იქნებ, სანამ სული მიდგას, კიდევ გავიგო მისი ან მისი შვილების ამბავი.

ლოლა ხოსიას ასული დვალიძე-მაისურაძე,
სოხუმის რაიონი,
სოფელი ოდიში.

ჩვენი ფოსტა

რედაქციისაგან:
მელიტონ დვალიძის საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ ისე დიდი დრო გავიდა, რომ გვეეჭვება ეს სტრიქონები თვითონ წაიკითხოს. იგი შეიძლება მართლაც აღარ იყოს ცოცხალი, მაგრამ შესაძლოა ჩვენმა მკითხველებმა, საზღვარგარეთელმა თანამემამულეებმა რაიმე იცოდნენ მის შესახებ. თუ ეს ასეა, ნუ დაიზარებთ, გთხოვთ მიაწვდინოთ მოხუც ქალს მისი ძმის ან ძმისწულების ამბავი.

წაქცეული და არდაცემული...

არწივი ვნახე დაჭრილი
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა.

ვაჟას ეს სიტყვები ახლავს დევიზად გმირთა დიდებისადმი მიძღვნილ ძეგლს, რომელიც ოქტომბრის წინასადღესასწაულო დღეებში გაიხსნა ზესტაფონში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. მის ავტორებს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელსა და არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას შეუქმნიათ შთამბეჭდავი, ხუთმეტრიანი ფიგურა გმირისა, წაქცეული და არდაცემული ქართველი კაცისა. ზეაღმართული მახვილით ხელში შეჰგებებია გმირი სიკვდილს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ღიმი ჩასდგომია თვალებში, თავი გაუწირავს, რათა მომავალ თაობებს ჰქონოდათ ბედნიერი და სიხარულით სავსე დღეები...

გმირთა დიდების ძეგლი ზესტაფონში ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ სამშობლოსათვის თავგანწირული გმირები არა კვდებიან...



სურათზე: გმირთა დიდების ძეგლი ზესტაფონში

ქართული კალენდარი

დეკემბერი თვეთა შორის სათვალავით არის ბოლო ადგილზე, თორემ ღირსშესანიშნავი თარიღებით სხვებს როდი ჩამოუვარდება. 5 დეკემბერი საბჭოთა კონსტიტუციის დღეა, ჩვენი დიადი მონაპოვრის — შრომის, სწავლისა და დასვენების ზეიმის დღე.

● **130 წლის წინათ, 1840 წლის 15 დეკემბერს დაიბადა დიმიტრი ჯანაშვილი, ქართველი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.**

● 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი).

● **25 დეკემბერს გამოჩენილ მეცნიერ-ფიზიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილს დაბადების 60 წელი უსრულდება.**

● 100 წლის წინათ, 1870 წლის 28 დეკემბერს დაიბადა ვანო სტურუა, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწე, მუშა-რევოლუციონერი; გარდაიცვალა 1931 წელს.

ქართული სამზარეულო

შილაფლავი

ხუთასი გრამი ბატკნის ან ცხვრის მსუქანი ხორცი (სასურველია მკერდის ნაწილი) დაჭერით ნაჭრებად, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ ხორცი დაფაროს და დადგით მოსახარშად. ხარშვისას მოხადეთ ქაფი. ადუღდება თუ არა, ჩაყარეთ დაჭრილი ერთი თავი ხახვი, ცოტა ხნის დუღილის შემდეგ ჩაუმატეთ გარეცხილი ერთი ჩაის ჭიქა ბრინჯი და ხარშეთ, სანამ მზად არ იქნება (დაახლოებით ორ-ორნახევარ საათს). ამ კერძში ხორცი და ბრინჯი კარგად ჩახარშული უნდა იყოს, ხარშვის ბოლოს შეაზავეთ გემოვნების მიხედვით მარილით, დანაყილი პილპილით და ზირით (Cuminum cyminum) მზა კერძს, თუ გსურთ, შეგიძლიათ სუფრაზე მიტანისას ზემოდან მოაყაროთ წვრილად დაჭრილი ქინძი ან ოხრახუშის ფოთოლი.

ყაურმა

ერთი საშუალო ცხვრის ან ბატკნის შიგნეულობა (ღვიძლი, გული, თირკმლები, ელენთა, ბადექონი) კარგად გარეცხეთ, დაჭერით, ქვაბში მოათავსეთ და მოშუშეთ. ხუთასი გრამი ხახვი დაჭერით წვრილად, ჩაუმატეთ შიგნეულობას და ერთად მოხრაკეთ ნელ ცეცხლზე. როცა მომზადდება, შეურიეთ მარილი, დანაყილი პილპილი და წვრილად დაჭრილი ტარხუნა. გააჩერეთ ცეცხლზე კიდევ 10 წუთს და გადმოდგით.

ბროწეულის საწებელი

ბროწეულისაგან გამოწურეთ წვენი (1 ჩაის ჭიქა), გემოვნების მიხედვით დაუმატეთ დანაყილი წიწაკა, მარილი და აურიეთ. შეგიძლიათ დაუმატოთ მარილთან ერთად დანაყილი ნახევარი ან ერთი კბილი ნიორიც.

დაგეძებენ, მოგელიან

ვლადიმერ დარისპანის ძე ჭანტურიას,

დაბადებულს 1918 წელს აბაშის რაიონის სოფელ ნორიოში, იძებენ დედა — **მინა**, მამა — **დარისპან ჭანტურიები**, მცხოვრებნი აბაშის რაიონის სოფელ საგვაზაოში.

პლატონ ვასილის ძე ბაბლუანს,

დაბადებულს 1920 წელს ქვემო სვანეთის სოფელ მამში, იძებენ ძმა — **ნოე**, ბიძა — **ბესარიონ ბაბლუანები**, მცხოვრებნი ლენტეხის რაიონის სოფელ მამში.

გიორგი ზაქარიას ძე ჯაჭვაძეს,

დაბადებულს 1922 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარა ჩაილურში, იძებენ დედა — **ანა**, მამა — **ზაქარია**, და — **ელენე**, მცხოვრებნი სოფელ პატარა ჩაილურში.

ნოე (ბიჭიკო) პეტრეს ძე თოხაძეს,

დაბადებულს 1919 წელს ლანჩხუთში, იძებენ დები — **ნინო, საშა, ელენე, ლიდა თოხაძეები**, მცხოვრებნი ლანჩხუთში, ლენინის ქუჩა № 86.

ვიკენტი ლუკას ძე იმნაძეს,

დაბადებულს 1915 წელს ლანჩხუთში, იძებს და — **ნინო ლუკას ასული იმნაძე**, მცხოვრები ბათუმში, სვერდლოვის ქუჩა № 3, ბინა № 23.

ვასილ (კიკა) ივანეს ძე კაკრიაშვილს,

დაბადებულს 1922 წელს ონის რაიონის სოფელ ღარში, იძებს დედა — **ელიზო კაკრიაშვილი**, მცხოვრები სოფელ ღარში.

შალვა (ბერონტი) ტარასის ძე გუგავას,

დაბადებულს 1918 წელს ლენტეხის რაიონის სოფელ მელურაში, იძებენ დედა — **გალინა**, და — **დოდო**, შვილები — **გიგუშა** და **მადონა გუგავები**, მცხოვრებნი სოფელ მელურაში.

გიორგი გრიგოლის ძე კახიძეს,

დაბადებულს 1923 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ობჩაში, იძებენ დედა — **ანა ჩხეიძე**, დები — **ლილი და ელიკო კახიძეები**, მცხოვრებნი სოფელ ობჩაში.

სერგო ალექსანდრეს ძე ეძგვერაძეს,

დაბადებულს 1918 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ნახახულევში, იძებენ დედა — **ნინო**, დები — **კლავდია და თამარ ეძგვერაძეები**, მცხოვრებნი სოფელ ნახახულევში.

ზაქარია არტემის ძე მეკოკიშვილს,

დაბადებულს 1910 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ურიათუბანში (დღეს ვაზისუბანი), იძებენ მეუღლე — **ნინო**, შვილი — **ნანული**, ძმები — **მიხეილ და რამაზ მეკოკიშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ვაზისუბანში.

შალვა ივანეს ძე ხაბურზანიას,

დაბადებულს 1915 წელს აბაშის რაიონის სოფელ მაიდანში, იძებენ მეუღლე — **ცაცა**, შვილი — **ლეგრი**, და — **ანიკო ხაბურზანიები**, მცხოვრებნი თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალი, VII კორპუსი.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ფენდერავას,

დაბადებულს 1915 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში, იძებენ ძმები — **გრიგოლ და ერასტი**, ძმისწულები — **ვარშავი, არნოლდ, სვეტლანა, რუსუდან და მურმან ფენდერავები**, მცხოვრებნი სოფელ ილორში.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488.

ფასი 5 კაპ.